

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 88

2020



მთ. რედაქტორი

## ნინო პობახიძე

მწერალი, საქართველოს  
მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა  
საერთაშორისო აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს  
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. აოლიბაოვისაას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)  
ISBN 978-9941-26-895-3 (88 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობა – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მოწოდებული და „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიის არეზიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის იმპრის ვარსკვლავისა და მშვიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონსილისტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცხეომრო აკადემიის ვიცე-კონსილისტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხე-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ მიღროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულტიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შონასიტეტვარბის მაბიერ

(გაგრძელება)

გულგათუთქული პოეტი ოცნებაში ხედავს  
მოწყენილ მთებს, რომლებსაც ცრემლები დაპა-  
ლუპით ჩამოსდით და ეკითხებიან მწვერვალებს:

„ცაში აფრენილო თეთრო მწვერვალებო,

ხომ არ დაგვიმარცხდა მხედრები?“

საუბედუროდ, სამარცხვინოდ, კვლავ ერ-  
თმანეთის ქიშპობით, დალატით დაფმარცხდით  
აფხაზეთში, გადმოსძახეს მთებმა.

„ვერ გაიმარჯვა მტერმა

ჩვენზედა,

თუმც გამარჯვება ბევრჯერ

ენება.

და ჩვენში ახლაც –

წინაპართა გუგუნებს ექო:

ჩვენი დვიძლი ძმები ვართ ქართველებო,



ერთსისხლ და ერთხორც“.

ამას დღეს მხოლოდ ნაღდი ქართველი იტყვის, ომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ვაჟა ეგრისელია თავისი სულითა დ შემოქმედებით – იყო თქმული ბუნების დიდ სივრცეში.

ეს, სადღა არის ის საქართველო, XII საუკუნე, დავით აღმაშენებელი, 60 ათასიანი ჯარის შემმნელი, – დაიკვნესა სიომ.

„დიდგორის მკერდზე სისხლთა მნოხეველი,

ქართველები კვლავ დგანან პირველნი,

და საქართველო –

მათი წმინდა საკურთხეველი...

სავსეა თავის შესაწირველით.“

ღმერთო დიდებულო, დღეს, 21-ე საუკუნეში  
თუ გვაძეს რამე საამაყო, გაიგლო გულში  
მტკვარმა და სიცივე იგრძნო.

„მიპქრის ჟამი –

დღეთა ფერხქვეშ მფენელი“...

დროთა ქროლვაში – „მამული ისევ მოელის ბადრის, უსუს და ამირანს... ზლაპიდან გამოპარულებს და ლეგენდიდან მოსულებს“.



— დმერთმა ქნას — თქვა პოეტმა და დიდგორის ბრძოლა გაახსენდა. 400 წელს უცხოელთა ხელში მყოფი თბილისი გათავისუფლა დავითმა და სამეფო ტახტი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ჩვენ კი ვკარგავთ ტერიტორიებს — მოისმა ხმა იდუმალი, ეს იმიტომ რომ

„წვიმის პატარა კაცუნები  
შიშით და თრთოლვით,  
კვლავ გადადიან ცისარტყელას...“

საქართველოს კი დავითის მსგავსი ერის კაცი სჭირდება. სად ვეძიოთ სად?!.. ნუთუ გადავჯიშდით, სად არიან დავითები, გიორგები, დემეტრები, ცოტნები, თამარები... დრო აღარ დადგა მათი გამოჩენის?

თამარ მეფესავით ქალი რომ იყოს ერის წინამდოლი — სიტყვა შეაწიეს ვარსკვლავეთიდან.

ეხ! ნეტავ იყოს, მაგრამ თამარი ერთადერთი და განუმეორებელი იყო...

„კვლავ ფეხშიშველი ლოცულობს, თამარ“... საქართველოა. სჯეროდა ხალხს მისი, ერს რა დაავიწყებს შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებას, თუმცა



ერს აფხაზეთის ომის სამარცხევინო წაგებაც  
დიდხან ემახსოვრება.

„ქართლის მთებზე გადმომდგარი –

გაზაფხული აღარ ბდავის.

დარი არ დგას სასურველი.“

რასაკვირველია, უკვე 10 წელია საქართვე-  
ლოში სასურველი დარი არ დგას. დიდი ხანია  
ერი ეძებს ისეთ ქართველს, რომელსაც ურჯუ-  
ლობობან, „შებმა სწადია პირისპირ“, ძნელია,  
მაგრამ უნდა შვას საქართველოს მადლიანმა მი-  
წამ ერის ჭეშმარიტი სულიერი წინამძღოლი. აი,  
როგორიც იყო XII საუკუნეში – შოთა რუსთავე-  
ლი, მისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, პო-  
ეტი უჩუმრად ამბობს:

„წიგნს ვხურავ და ვიდებ გულზე

და... რვაასი წლის მერე –

იმ ვეფხის მომესმის ლრენა

ქვაბულთან,

თუ ნაცნობ ბორცვთან,

გარიელმა რომ შეიპყრო

და „მის გამო“ სურდა კოცნა.“

ნეტავ პოეტი რას გულისხმობს, როცა ამ-  
ბობს: „და რვაასი წლის მერე იმ ვეფხის მომეს-



მის ღრენა“, იქნება იმ მეზობელ ქვეყანას, რო-  
მელსაც ვეფხვის კლანჭები გაუშლია და ღრე-  
ნით უნდა დაგლიჯოს მადლიანი საქართველო,  
ან ვეფხვი ღრინავს იმიტომ, რომ ნესტანის სიყ-  
ვარულში ექიშპება ტარიელს. გამორიცხული არ  
არის ცხოველი შიშის ინსტიქტი. ტარიელის მი-  
ერ ვეფხის ფიზიკური განადგურებისა, მაგრამ  
პოეტი თავისებურად, პოეტური ხერხით ამბობს:

„ჩემი ფიქრები დამის მარაჟში,

ოცნების მაღალ კოშკებს აგებენ“.

პოეტი იმდენად გატაცებულია წარსულით,  
ოცნების კოშკს აგებს ზღვაში, მყინვარწვერზე,  
ხან ცაში ცხოვრობს დიდ წინაპრების აჩრდი-  
ლებთან, ზოგჯერ ეშვება დედამიწაზე. ზოგჯერ  
კი დაშვებას არ აპირებს, ხომ ასეა? – იყო დას-  
მული კითხვა.

პო, პო ასეა, ასე – თქვა პპეტმა დანანებით  
და კოხტაგორის შეთქმულება და ცოტნე დადია-  
ნი მოაგონდა:

„ლეგენდებით და მზით შემოსილი,

გაჰყვება მღვრიე

ათასწლეულებს...

ვერ შეაშინებს ღრუბლების სისქე.



როს მოყვასისთვის გვემა სხეული,  
სული მაშინვე გაფრინდა ცისკენ.“  
„ცოტნე“

ან კიდევ:

„დასაბაიდან ფაზისის და პონტოს  
ნაპირას –

ბუდობს კოლხეთი,

როგორც ხოხობი...

... ცოტნეს ადგილის დედაა-ხობი

დადიანთა ძვალთშესალაგი ნოჯიხევი“.

თავდადებული თავადი – ცოტნე დადიანი  
ჩემო საქართველოვ. ქართველი ერი, დღეს რო-  
გორ დაგვამშვენებდა?!

„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,

თუ მამულს თავი არ ანაცვალე?

ეს აწუხებდა ცოდნე დადიანს,

მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს“.

(ლადო ასათიანი).

დღეს ვინ ფიქრობს ამაზე? – მკაცრად მო-  
ისმა ზეციდან. მხოლოდ ნადდი ქართველი პოე-  
ტის გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვები:

„მე კოლხი ვარ და... მეც

ცოდნტესავით –



ჩემი სამშობლოს

სიყვარულში ვარ ჩაკირული“

ერის ბურჯად შემდგომში საქართველოს  
მოევლინა დიმიტრი თავდადებული, მისი შვილი  
გიორგი მეხუთე, ბრწყინვალედ წოდებული, –  
მერე რა იყო, ჩაეკითხნენ პლანეტიდან.

– მერე რა იყო და... ქართველმა ხალხმა  
დაიწყო ბრძოლა სულისა და ერის გადასარჩე-  
ნად. იბრძოდა ქართველი ლუარსაბ მეფის მეთა-  
ურობით, იმ პერიოდში გრიგალივით მოევლინა  
ქართველ ერს გიორგი სააკაძე:

„ოსმალეთი?

არც სპარსეთი!

საქართველო იყო შვება და იარა,

იყო მისოვის ეკალიც და ყვავილიც.

სააკაძემ შარა-გზა რომ გაიარა...

მორჩა, იმ გზას,

აწ ვერავინ გაივლის“.

პოეტს იგი მიაჩნია დიდი ნებისყოფის მქონე  
გამორჩეულ პიროვნებად, რომელმაც თავისი  
ერის სიყვარულს შვილი შესწირა.

საქართველო წარსულში მეფეებითა და  
გმირებით არასდროს გაცრეცილა – იყო მედგა-

რი ხმა სამოთხიდან. ერის წინაშე წარსდგა და-  
ვით მეფის ქვრივი, ქეთევან დედოფალი, ცხრა  
ძმა ხერხეულიძე, ვახტანგ მეუქვე. „პატარა კა-  
ხი“ – ერეკლე მეორე, ხოლო ახლაც

„თათართა ხმა კრწანისიდან,

ისევ მოაქვს

ნიავს დილის

და აურეოლებს ტანში თბილისს.“

მტერს გმირულად შეაკვდა სამასი არაგვე-  
ლი.

ამის გახსენებაზე პოეტმა მწარედ ამოიხვნე-  
შა თითქოს გული ამოაყოლაო. ნეტავი ასე გმი-  
რულად მაინც წაგვეგო ომი აფხაზეთში, სამა-  
ჩაბლოში...

ვერ დათხარეს თვალი დავით გურამიშ-  
ვილს. „ქართლის ჭირის“ ავტორს, ვერც პოეტ  
ბესარიონ გაბაშვილს დაუშალეს საქართველო-  
ზე ფიქრი, ერმა შვა ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნი-  
კოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი,  
ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშავე-  
ლა, გალაკტიონი – გადმოხედა ამაყად და მტკი-  
ცედ თქვა კავკასიონმა.



ერს ახსოვს პირველი მსოფლიო ომი, რევოლუცია რუსეთში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, შემდეგ მისი დაკარგვა, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რუსეთი და საქართველო სტალინის შემდეგ – იყო თქმული პლანეტიდან.

ეროვნული მოღვაწეები... ეხ, სადა ხართ ბიჭებო, რა უდროოდ წახვედით!.. როგორც არახდომს ისე სჭირდებოდათ ახლა თქვენს სათაყვანო საქართველოს, – თქვა პოეტმა და ამოიხვნება სევდით დააკორტნილი გულიდან.

– განა თავიანთი სურვილით წავიდნენ? იყო მკაცრი ხმა იდუმალისა. პოეტმა უჩუმრად, გულის სიღრმეში, ლექსი „შავლეგო“ გაიხსენა

„შავი ჩოხა სისხლით ბევრჯერ

გაახამე,

მაცხოვარმა რადგან ასე ინება,

შავლეგ ბიჭო!

ტანთ გაცვია ქართვლის დამე,

გარსკავლავები შიგ გიწყვია ქილებად,

როგორ გშვენის შავ ჩოხაზე ყაწიმი,

ობლად გაზრდილს გმირობა

დაგებედა.



მხარზე გაზის გამარჯვების არწივი,  
და გიშვილა თქმულებამ  
და ლეგენდამ.

შავლებ!

მტერი დაჯეგვე დაა დარაგვე!  
შენი სული უკვდავებას შევრთე.  
შენ უძღვდი ბიჭო!

სამას არაგველს –  
ხმალაწვდილი გმირი სამასმეერთე,  
როცა მტერმა ჩვენი მზერა წანისლა,  
კახო-ბატონის მზე რომ ჩაქრა  
კრწანისთან.

უფრო ადრე,  
ქართვლის დროშა მიგქონდა,  
დავითს ახლდი დიდ ბრძოლაში  
დიდგორთან.

მერე ისევ!  
ურჯულოებს შამქორთან,  
მიკაფავდი და ხვრელივით გაგქონდა,  
სისხლისა  
და ცრემლის ზღვაში ნავლებო,  
შავლებ ბიჭო!  
შავლებო!



გიოხერეს: შენ ცას  
თვალს ვერ შემოავლებო,  
შავლებ ბიჭო!

შავლები!  
საქართველოს სიკვარულში —  
ვერ გაჯობა ვერავინ,  
შავლები ბიჭო!

## დაჭიხვინებს – მხედარს უხმობს მერანი.

როგორც ზღაპრად,

ანდა როგორც არაყად,  
შენ სამშობლოს შეეწირე ზვარაკად.  
შენ უტაცე დრო-უამს ხელი აღვირზე  
და დამსხვრევა მოინდომე ბორკილის,  
მძინარეებს კვლავ ანჯღრევს  
და აღვიძებს –  
შენი ხსოვნა – მოგექახის  
და მოგაკიგის...



ბრძოლის ველზე ვეცემით  
და არ ვკვდებით,  
შიდა ქართლში,  
აფხაზეთს თუ თრიალეთს –  
სისხლიანი შენი ჩოხის კალთები.  
შავლებ ბიჭო!

დროშად ავაფრიალეთ!  
„მოძმე“ მტერი, ისევ  
გვებრძვის ტიალი,  
აღარ გვინდა სხვათა გამოსარჩლება!  
შენი სული ამ ბრძოლაში ტრიალებს,  
გამარჯვება ჩვენ –  
ქართველებს დაგვრჩება!“

ქართველი ერი და 9 აპრილი მთავრობის  
სასახლის წინ მიყრილ-მოყრილი ფეხსაცმელები,  
ჩანთები, შარფები, რუსთაველის პროსპექტი გა-  
დაჯეგილი, იავარქმნილი, აქა-იქ სისხლის კვა-  
ლი, რაც მოყვა რუსეთის საოკუპაციო ჯარის  
მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას  
და... მრავალი სხვა.

აი, ასე მიმოხაზა თავის ფიქრებში პოეტმა  
წინაპრების მრავალათასწლოვანი თავგადასავ-  
ლები და ჭალარა საკმაოდ გამოერია.



თუმცა მას ბუნებამ მადლიანი კალთა გა-  
დააფარა და ვაჟკაცობისა და ახალგაზრდობის  
იერი ხელუხლებლად დაუტოვა, პოეტი მაინც  
ნაწობს:

„სიყვარულის და სიკეთის თესვით...  
შემომეხარჯა ეს დღეები  
ხურდა ფულივით...  
სიცოცხლეს მაინც მე არ ვუჩივი,  
ტკბილიც და მწარეც ჩემი წილი  
ორივე შეესვი“.

პოეტს დამშვიდება სჭირდება — გადმოსძა-  
ხეს ვარსკვლავეთიდან. „ეფრემვერდში“ აღნიშ-  
ნული — თურმე მთვარეს მზე ჰყვარებია, ნეტავი  
იმ დროს „სიყვარულის თეთრ კარავში კვნესას  
და ამბორს“ — პოეტი როცა გრძნობდა.

— ვფიქრობ ახლაც კარგად აღიქვამს, — ჩა-  
იჩურჩულა ნიავმა. ამის გაგონებაზე პოეტმა სევ-  
დანარევად ჩაიღიმა და განაგრძო — რა მომივი-  
და, მაინც რატომ ვერ მოუარე ჩემს პირველ სიყ-  
ვარულს, რომელიც დღესაც მახსენებს თავს.  
ფიქრებში წასულ პოეტს უცებ შეყვარებული  
გოგონა წარმოუდგა...



— ნუთუ ის არის, თუ ლანდია, იფიქრა და  
წამოდგა კიდევაც, მაგრამ ის ლანდი თვალსაწი-  
ერიდან უცებ გაქრა.

ოცნების ბურუსში გახვეულმა პოეტმა თა-  
ვისი ბავშვობის სიყვარული გულში ჩაიკრა და  
გზა განაგრძო ბუტბუტით.

„ყოფნა ტკბილია,

მაგრამ უშენოდ,

ვეღარ ჩავიტან სიცოცხლეს გემოს“ —

— მართლა? — ჩაესმა ქალის ნაზი ხმა.

— ჰო, ჰო, მართლა, სადა ხარ ჩემო სიყვა-  
რულო, დამენახე! — ჰკითხა პოეტმა. პასუხად  
მხოლოდ ფოთლების შრიალი მოესმა: ეჲ, ჩემო

„გულო ჩადექი საგულეს,

მზერას ნუ აუხირდები“ —

თქვა პოეტმა და გზა განაგრძო.

გზაზე მომავალს მოაგონდა XX საუკუნის  
უდიდესი მეცნიერები, და მწერლები: ივანე ჯავა-  
ხიშვილი, სიმონ ჯანაშია, გალაკტიონ ტაბიძე,  
კონსტანტინე გამსახურდია დ სხვანი... ასეთი  
უდიდესი კულტურის კერა არა, არ შეიძლება  
გადაიქცეს ბანანის ქვეყნად. ყოველმა ადამიანმა  
მხოლოდ სიკეთე უნდა თესოს... სიკეთე...



„დადის პოეტი დედამიწაზე –

თესავს სიკეთეს...

და სიცოცხლის მაღლი იტაცებს“...

სიკეთეს თესავ და ოცნებით დატვირთული  
გაჟყურებს სივრცეს – ალბათ სამშობლოს და-  
საცავად მტერთან შესაბმელად მზადყოფნაში  
ხარ? – შეეკითხნენ ვარსკვლავეთიდან.

„ციხის ნანგრევთან დგახარ,

უცებ გამსკდარი გულზე.

აქ მოთარეშე წარსულს,

მრისხანე თვალით უმზერ“...

ასე არა? – აფუთფუთდნენ ვარსკვლავები.

პოეტმა ნათქვამზე თავისებურად ჩაიღიმა...

„... მაგრამ რას იზამ

არ ბერდება,

გული კვლავ ნორჩობს“...

თქვა და ოცნებაში, მთის წვერზე ავიდა სი-  
ცოცხლით სავსე, ლამაზად შეჭადარავებული  
პოეტი და იქიდან გადმოხედა აწმყოს, წარსულ-  
სა და მომავალს. ადამიანის თვალი, მისი აზ-  
რთა ცვენა. ყველა სახის ემოციის გამომხატვე-  
ლია, რაც სხეულში ბუდობს. თვალი სითბოცაა  
და სიცივეც, რომელიც ზოგჯერ ნატვრის გამომ-



ხატებია და ზოგჯერ კი სიხარულისა და სიყვარულისა. თვალი ხანდახან ისეთი გამჭოლი სხივია, რომელიც ძვალ-რბილში გატანს. ხან გატკენს და ხან კი აღგაფრთვანებს.

„თვალები მზეა და სხივებად ვნება მოცვივა...“. მაგრამ თვალი, რომლითაც ადამიანი ხედავს სინათლეს, დედას, მეგობარს, ზოგჯერ იტყვის –

„იგი ვეფხვია დაჭრილი, მაგრამ მომაკვდავს არა ჰგავს!“

ამაშიც აზროვნებას თვალი ეხმარება.

ან კიდევ:

„კერის სული ღმუის ნაცარში  
და ვლინდება

მუგუზლების

თვალის ბრიალი“.

პოეტის სწორ აზროვნებას, თვალი დაეხმარა, რათა დაენახა შორს, მდინარის გადმა, ლამაზი ქალის აჩრდილი. უმალვე ოცნების ხიდი გადო მდინარეზე. კოლხური სიამაყით ნელი ნაბიჯებით გაიარა, თუმცა გულში ფიქრობდა ქალია თუ აჩრდილი?!

– ქალია, ქალი... მოესმა ხმა.



— ახლოს მივიდა, ვინ არის? — ხომ არ  
ვტყუვდები? — ჩაეკითხა თავის თავს!.. ცხოვრება-  
ში ასეთი პირველად დაგმართა.

— რა დაგემართა? — ხმაურით ჩაეკითხა  
ზღვა.

პასუხის გაცემა ვერ მოასწორო, ქალი უცებ  
მობრუნდა, პირისპირ დაუდგა და ჰკითხა:

— ვინა ხართ? — აქ რამ მოგიყვანთ? — ქა-  
ლური სინაზით იყო თქმული.

— გრძნობამ — სიყვარულით უპასუხა ოცნე-  
ბაში მყოფმა პოეტმა.

— გრძნობამ?.. გაკვირვებით გაიმეორა ქალ-  
მა, თან სიცილით უთხრა — გრძნობა დიდი ხა-  
ნია ალბათ გაგეცითა, ვით შემოდგომის ფოთ-  
ლები, ასულებთან თავისებურად.

**ტატა დიოსტურელი**  
**ნაწყვეტი წიგნიდან — აღქმა ანუ**  
**საოცრებათა სამყაროში**

გაგრძელება შემდეგ ტომში



## პოლიტიკი

საქართველო –

უკოდხეთოდ –

უწარსულოა!

1959

## სოზელში

მზე სიჩუმეში როცა ჩავიდა,  
ცად გარსეპლავებმა  
ენა აიდგეს.  
გამკრთალი ელვა –  
ნათელს თამაშობს.  
გადაჭრილ კუნძხე მჯდარი ზარნაშო,  
ბგერებს გამოსცემს  
გაზქურაზე  
მდგარი ჩაიდნის.

1967



## ცატურმორთი

ჰელიოსის მზით დამშვენებული,

კოლხეთი არის

ჩემი სახატე.

და მიუვარს მისი სიმღერების

ძველი მოტივი.

ჩემს „ფსალმუნებში“

ცა და მიწა მისი

დავხატე

და შენ მოგართვი საქართველოვ –

ნატურმორტივით.

2020



## ବୋଲିଙ୍କା: ଜୀବନିର ବାତମଣି

ଗାମିଠୁରା ଓଳେ ଠିକ୍-ଗୋଲିମା,  
ମତୋବଳ୍ବ,  
ରାଗବରାତ୍ରି ଉତ୍ସବରେ ହିତେବଳ୍ବ,  
ବୃଦ୍ଧବାଲବଳ୍ବ ଏବଂ ବୃଦ୍ଧବାଲିନେ...  
ତାହା,  
ଦେଖିଲମାନକୁ ଲାଗିଲିଲି  
ନାତମଣି,  
ଯବୋଲିଲା, ଯବୋ ଆପଣକୁଠିନେଇ,  
ଏବଂ ବୃଦ୍ଧବାଲିନେ ଲାଗିଲିଲି  
ଦେଖିଲମାନକୁ ଲାଗିଲିଲି.

1963



\* \* \*

ზღვით ამოვარდნილ ქარიშხალს,  
ხმა აღარ მოაქვს  
სკვითების,  
ოსმალების და  
ჰუნების.  
და... მე ვუგალობ –  
კოლხურ ცას,  
– ბუნებას –  
ზეშთა – ბუნებრივს.

1959



## მოულოდნელი სიპრეზი

ამას რაჯობს როს სიკვდილი,  
საღ-საღამათს

ჩაგჩურჩულებს:

— შენში ბრალი მე არ მიძევს!

და დამით რო დაიძინებ,

დილით —

აღარ გაიღვიძებ!!!

2020



## დიდი სამამულო ომი

ჩრდილოეთიდან,  
ვიდრე დასავლით,  
ჩაუქრობელი ცეცხლის  
ენები,  
დასაბუგავად ზე-მიიწევდნენ...  
ცა ბლაოდა და ჰეგდა  
აგვარას.  
თვალს არ უნახავს ომი ამგვარი,  
პროექტორები –  
პირჯვარს იწერდნენ.

1955



## შუამთაში

ტაძრებმა შემოკრეს მიმწუხერის  
ზარები,  
და აღავლინეს ლოცვები  
და მესა<sup>1</sup>  
ცამ დაიმშვენა მთოვარის ტიარა<sup>2</sup>.  
და დღემ იქორწინა  
ლამესთან.  
დილამ კი...  
ოქორსკულულებიანი  
დღე იმშობიარა.

1959

<sup>1</sup> მესა (ფრანგ.) – კათოლიკური დგომისახურება, წირვა.

<sup>2</sup> ტაიარა (ბერძ.) – მეფეთა და ქურუმთა თავსაბურავი, როგორც ძლიერების სიმბოლო.

## ଶାଖାକ୍ଷେତ୍ର ରଜତବ୍ଲୟାଙ୍କ

ଅବଳା ଅରା ଅକ୍ଷ୍ୱତ ଶିଶୁ,  
ସିଂହାଳି ତଥାମୁଣ୍ଡିଲି ତୃତୀ  
ତୃତୀମୁଣ୍ଡିଲିରେ.  
ଏହା ରଜାକ୍ଷେତ୍ରରେ ଶାଖାକ୍ଷେତ୍ର ରିଗ଼ଶି,  
ପାତାଳ ପାତାଳ ବିଲାପିଲି  
ମହାମହିମିଶି,  
ଓପାଳ ପାଳ ପାଠାରି  
ରଜାକ୍ଷେତ୍ରରେ.

1968



## მე უმრავესი

გორგასალიგით მხნე და ძლიერი,  
ძე უმრწემესი თავს მედგა დაჩი,  
როს ორგზის  
ჩემი გული ეკავათ ხელით,  
დარდით დამდნარი,  
ფიჩხივით ხმელი.  
მადლობა უფალს!  
ცოცხალი დავრჩი.

2015-2016



## მოწის სული

ელგად და ჭექა-ქუხილად,  
ციდან კვლავ ჩამოდის ხმები –  
სამყაროს ჟრუანტლად  
რომ უვლის:  
– ეს მდინარეები,  
ოკეანეები  
და ზღვები –  
არის დედამიწის უკვდავი სული...

1964



## პოლნი ქურუმები

როდესაც ჩამოვიდნენ  
მეცხრე ციდან  
და მზის შვილობა იგრძნეს,  
კოლხი ქურუმები,  
ეგვიპტელთა და  
რომაელთა,  
ქურუმებს –  
ასწავლიდნენ  
სიბრძნეს.

1960



## 0სეგ პარას ჭალა

მოთხოვდ  
სიმინდთა ციცქნა  
ორმოებს,  
კვლავ დარჩენიათ ღიად თვალები.  
და პარას ჭალას  
ახალ მოჩელილს,  
მკერდზე გაუბამს ნაურმალები,  
ვითა სიმები –  
ვიოლონჩელის.\*

1963

---

\* ვიოლონჩელი (ტიალ.) – ვიოლინოს ტიპის, მაგრამ  
მასზე დიდი ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი.



## ქასიდა

გულის სისხლით გიწერდი,  
 შიგ სიყვარულს ვაქსოვდი,  
 ლოცვით სავსე ყასიდად<sup>3</sup>.  
 თუმც შენ აღარ გახსოვდი,  
 მაინც ათასში ერთხელ  
 უსტარს მწერდი –  
 ყასიდად<sup>4</sup>.

1954

---

<sup>3</sup> ყასიდა (არაბ-სპარს.) – ოდა, პოემა.

<sup>4</sup> ყასიდად – მოსაჩვენებლად, ვითომცდა, განგებ.



## რეპუსი

მოგალთ და მერე  
მთელი სიცოცხლე,  
ბედნიერების ვატარებთ ნიღაბს,  
თუმცა ცხოვრება ყოფილა ჯვარცმა,  
მაგრამ,  
ცისა და სიკვდილის მიღმა,  
რა არის ქვეყნად  
არ იცის კაცმა!

2020



## დრუგბლები

ისე, როგორც ზღვებს მდინარეების  
 გამკრთალი ელვის ნაკადულები  
 ჩალუკსუმებულ –  
 სივრცეებს ერთვის.  
 ზოგი შავია და ზოგი თეთრი,  
 მაინც ერთმანეთს ჰგვანან  
 ღრუბლები.  
 და ჩვენ ერთურთს კი, ვით ზღვის  
 წყალობას,  
 წვიმების ენით გესაუბრებით.

1971

\* \* \*

ლოდინით დაღლილ სანაპიროზე,  
როდესაც ქარის ხმები  
იალებს,  
მაშინ ო, ზღვაო, მიყვარს მე შენი,  
ლურჯი ტალღების  
კაბის შრიალი,  
ვით აბრეშუმის  
და კრებდეშინის.

1969



## ბერძნები და რომაელნი

ბერძნები და რომაელნი  
ქმნიდნენ ძლიერ  
იმპერიებს...  
ჩვენ გვიქრობდნენ თვალისხინს და  
ჰელიოსის მზის  
კერიებს.  
და გვპარავდნენ კოლხურსა და  
ფხოველთა ძველ  
მისტერიებს\*.

1962

---

\* მისტერია (ბერძ.) – საიდუმლოებანი.



„ვხოშო ძვები“ და

„შშმერული ვირფიტები“

მე,

როგორც განდობილი,

ჩემთვის ჩუმად ვკითხულობ

წარწერებს და... ვდიდგულობ:

რომ ეს „ქვები ფხოური“,

განა გამოიფიტნენ!

— ერთსასწორზე არწევენ

ხუთიათასწლეულის...

ფხოურ ქვების წარწერებს

და შუმერულ ფირფიტებს.

1962



# ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,

## ବିଜ୍ଞାନକାଳୀ

წარსულში კი სულ სხვა იყო,  
აი, ახლა არვინ უშლის,  
მაგრამ, იქ, სად ტყეა ნორჩი,  
აღარ ისმის  
მტლაშა-მტლუ  
ტყაშმაფა<sup>5</sup> და ოჩოკოჩის<sup>6</sup>.

1959

## **5 የሃይል ወጪዎችዎላለሁ.**

<sup>6</sup> Օյու Հյան  
օյօլս ՅաՅօ.



## ზარნავაზი და საშრმაგი (დაჩის)

საქართველოს სიყვარული,  
მეტი გვმართებს ჩვენი ორმაგი,  
რადგან გულზე ბეჭდად გვაზის –  
თავგანწირვა მამა-შვილის:  
დიდ ხელმწიფე ფარნავაზის\*  
და მისი ძის –  
საურმაგის.

1995

---

\* ფარნავაზი – 27 წლის, გაერთიანებული საქართველოს სამეფოს მეფე გახდა. 65 წელი იმეფა. 92 წლის გარდაიცვალა..



## ତୀରି

ସିଦ୍ଧିଗ୍ରେ ଓ ସିମାରିତ୍ରୋଗ୍ରେ  
ବ୍ୟାସକିର ହୃଦୟାଙ୍ଗ କିମ୍ବିଲ୍

ବ୍ୟାରା.

ଫୁଲିଲି ମତ୍ତାର୍ଯ୍ୟ,  
ସିମର୍ଜେଶି ହାନି ନେମ୍ବିଲିତ.

ଚାମତରିଳି ଲାମ୍ବେ ପା ଅକ୍ଷେରାଗ୍ରେ –  
ଗାର୍ଜିକାଳାଗ୍ରେବିଳି ଉକ୍ତରିଲି ଦାତ୍ତିତ  
ଓ କ୍ଷେତ୍ରିଲିଲି.

1957



\* \* \*

უპირველესი სიყვარული  
კოლხებს და ქართებს,  
ალბატროსივით რომ სათარეშოდ,  
გადამიშალეს ზღვათა მინდორი.  
გადაუხდელი მაინც  
ვალი მე ზღვების  
მმართებს,  
ვითა მის ღმერთის პოსეიდონის.

2001



სიცოცხლე – ჰითანიპია,  
სიგვდილი – აისპერბი

ცხოვრების ოკეანეში,  
არაფერი არ მოჩანს!..  
სიცოცხლე – ტიტანიკია,  
სიკვდილი –  
აისბერგი\*,  
დაუჯახება და...  
მორჩა!!!

2019

---

\* ყინულის მოცურავე მთა (ინგლ.)



## ზოგ-ზოგებს

ვით ამბობს მითი:

— ადამიანი თურმე იშვა  
ამფიბიასგან,

(მისხიდან-მისხოთ.)

აი,

ამიტომ ზოგ-ზოგებს ჩემთ,

ვით წყლის ბინადარს,

გულთან ერთად —

ცივი აქვს სისხლიც!

2020



## პოლნი ქურთამი

დამე ისხამს მთიებად,  
შენს ფიქრებს და  
შენს სურვილს,  
(ვითა კოლხი ქურუმის.)  
სულ სხვა მისტერიებით და  
და გრაალით –  
შეჭურვილს.

2014



## მაიას ტომის ისტორია

თქმულა: კოლხთა ნაშიერი,  
ბრძენია და რიტორია,  
მით ატყვია მათი კვალი:  
მაჩუ-პიკჩუს,  
აცტეკების,  
„მაიას ტომის ისტორიას“.

1962

---

\* დიეგო დე ლანდა – „მაიას ტომის ისტორია“.  
(ხელნაწერი).



\* \* \*

მეცხრე ციდან მოსული,  
ისევ ცისკენ  
ოურვი...  
მაშინ სხვა დრო იქნება,  
როცა წახვალ  
იმქვეყნად,  
არაამქვეყნიური.

2020



ინდურმთა...

ფარსმა

ადრე სხვა იყო...

ახლა წარსულის

იმატა ფასმა,

როცა გაიგეს, რომ ქურუმთა

სამეუფო ყოფილა თურმე

ინდურმთა<sup>7</sup>...

ფარსმა<sup>2</sup>.

1963

<sup>7</sup> – პრეისტორული ფხოვის ორი საკრალური სოფელი.



## აპის-0\*

შორეული წარსულიდან  
ბდავილის ხმა  
ისმის აპის...

შიში უშქარი და ულევია...  
რომ აწყდებიან ნაპირს,  
ტალღები კი არა,  
წყალში დამხრჩვალთა  
სულებია.

1964

---

\* აპის-ი (ბერძ. ეგვიპტ.) – ღვთაებრივი ხარი,  
რომელსაც თაყვანს სცემდნენ.



## ფშავ-ხევსურეთიში

ადრე აქ,

ნაცვლად არაგვის,

დიოდა დევთა სისხლის

მდინარე,

რომელმაც მთა და ზღვა გადალახა.

იმ დევთა სისხლზე

ამოსული ჰყვავის მცენარე –

„დევსებისხლა“

და „დევისბალახა“.

1963

## ანქილები

თაყვანსცემდა არესი\*.

ხალიბური ფოლადით,  
კოლხ ქურუმთა მზით ნაჭედ –  
წმინდა ფარებს – „ანქილებს“.  
და ის ფარი ხელოვანობა,  
ტროას მძინვარ ბრძოლაში,  
ლეგენდარულ აქილევსს.

1993


---

\* არესი (ბერძ.) – ომის ღმერთი, ზევსისა და ჰერას შვილი.

## მოლოდინი

გავიდა ასი ათასწლეული,  
პლანეტებს იქით...  
რომ მიმელის უცხო  
პლანეტა.  
დედამიწაზე ჯერ არ იციან,  
რომ იდუმალი კაგშირი  
გვაქვს,  
ჩვენ ერთმანეთთან.

1960



## ცა არის – ქრისტე

საუკუნე –

საუკუნეს მისდევს...

სულ სხვა რწმენით და

სულისკვეთებით.

ცა არის – ქრისტე,

დაწინწკლული –

ვარსკვლავების

სისხლის წვეთებით.

1963

\* \* \*

ჩემი ეზოს ხეთა ჩრდილში  
გპითხულობდი –  
დიდ გოეთეს და  
ეკერმანს\*,  
სანამ მწუხარმა  
ცას დახეულ  
შარვლის მუხლზე  
მოვარე აღარ დააკერა.

1956

---

\* იგულისხმებაგ წიგნი: „გოეთეს საუბარი ეკერმანთან“.



## დედამიწაზე რაც არის გზები

ბილიკებს თვალი მაღლა უჭირავთ,

ცოთ —

წესილის ჩამოდის  
ბინდი,

უცნაურ გზებით:

— დედამიწაზე რაც არის  
გზები,

სულ ყველა —

არყოფნაში მიდის...

2020



## ସମ୍ରାଟ ଧୂମିତା

ମାମଲ୍ଲକୁ ପୁଣ୍ୟକାଳ ଦିନାହିଁ,  
ପୁଣ୍ୟକାଳ ଦିନାହିଁ  
ଅମ୍ବାଗତ ଦାମିରେ ଶାଙ୍କ  
ଶୁଦ୍ଧିଦାନ –  
ଅନ୍ତରେ ତମିବନ୍ଦି  
ସୁରାଦି ଧୂମିତା\*.

1965

---

\* ସୁରାଦି ଧୂମିତା – ମହିଳା ଜାଲିଶୁଦ୍ଧିକାରୀ (ବ୍ୟକ୍ତି)।



## მიჯაჭვული ამირანი

კავკასიის მაღალ კლდეზე  
მიჯაჭვული ამირანი,  
შენ აწყვიტე,  
შენ ახსენი!  
და ის ახლა მითებს ერთვის.  
ამიტომაც ზოგჯერ  
ღმერთი,  
უღმერთობას შეგვახსენებს.



## სიბრძნის პვნიტი

ფსალმუნების თაფლის სანთლებს  
გინოებ,  
მსურს,  
ჩემი ერთი ოცნება ახდეს!  
უფალო,  
მისკენ ჩუმად რომ ვილტვი.  
სხვას მიეც ყველა სკიპტრა და ტახტი,  
გე კი სიბრძნის  
მომეცი კვნიტი\*.

1960

---

\* კვნიტი – ნატეხი, ნამტვრევი, ნამუსრი.



## აქილევსი

„გჰეი! აქილევსებ, პელაზგოსებ“.

პომეროსი

ტროას სისხლისმდგრელ ბრძოლებში,  
ხალიბთა ფოლადით  
ნაჭედ ხმლებს,  
რომ ცემდნენ პელაზგურ „ანქილებს\*“,  
მე, მაშინ ვით პომეროსმა,  
აქილევსის –  
კოლხობა  
„გამხილე“.

1968

---

\* „ანქილები“ – კოლხური წმინდა ფარები.



## გრაალი და ვეზები

მიიღია ერგასი,  
ფიქრითა და ოცნებით,  
ღობე-ყორეს ვედები  
და ძველი კოლხეთის  
ხილვა მეიმედება,  
რადგან,  
სადღაც ხმა მესმის:  
„ეფუთის“<sup>8</sup> და „საწმისის“<sup>2</sup>  
„გრაალის“<sup>3</sup> და  
„ვეზების“<sup>\*</sup>.

1991

<sup>8,2,3</sup> – პრეისტორიული კოლხური (ქართული)  
მისტერიული წიგნები

\* „ვეზები“ – ძველინდური ლიტერატურული უძველესი  
ძეგლები – (ოთხი საღვთო წიგნი(ძვ. წ. აღ. VI ს.).

მოწოდება

ვით მაცხოვარი იესო,  
ცა ვეღარ ირჩენს მნათოა  
იარებს,  
თუმც ცვივა ცრემლთა ნამი...  
მან, ერთმა გამოიარა  
წყვდიადი –  
მზიანი დამის.

1989



## შობი

ცოდვას ემატება ცოდვა! –

ტომრით...

საპალნით და

გოდრით...

ვახ! თუ დროზე უადრეს!

ამ ჩვენს საწყალ

დედამიწას,

დამბიმებულს ამდენ ცოდვით,

ძირი არ გაუვარდეს!

2020



## ზღვა და სმელეთი

უამს მიმწუხერისას ერთი  
 ვარსკვლავი,  
 ცას ჩუმად მკლავზე როცა აეცრა,  
 მაშინ ქარისთვის უნდა  
 გემზირათ:  
 ზღვა რომ ნაპირთან –  
 ხმელეთის წინ  
 მუხლზე დაეცა,  
 ვითა შაპის წინ –  
 ნაზირ-ვეზირი.

1953



## სიმბოლოები

ადამის მოდგმის გაჩენის დღიდან,  
ვინდა ჩამოთვლის  
ქვეყნად იმ ცოდვებს,  
ახლა „ცხვრებას“ რომ ლამობს  
იერით.

უფლის რჩეულმა უნდა იცოდეს,  
აზრს,  
რომ ჩააცვას  
სიმშვენიერება.

2020



## ხილვა: ქუგალე\*

როგორ მიიწევს ცისკენ ტაძარი,  
 ჯერ ყველაფერი არჩანს  
 გარედან.  
 საქურთხევლიდან წვეთავს მირონი,  
 იმზირებიან ზე-სართულის  
 „ქუგალედან“ –  
 კოლხი ქურუმები –  
 ბაბილონის.

1972

---

\* ბაბილონის ტაძრის ერთერთი ზედა სართულის  
 ყველაზე მაღალ ჭერთან დარბაზს – „ქუგალე“ (მეგრ.)  
 შემოგევლე ერქვა.



## გაცი გაბილონიდან

ცით ჩამოვიდა მთვარის  
ბილიკით;  
მერე დატოვა –  
ხამისკური<sup>9</sup>, და...  
ათასწლეულთა მერე  
მოვიდა!  
და... „მე ვარ კაცი ბაბილონიდან“,  
უფრო სწორად კი,  
მე ვარ ურიდან<sup>10</sup>.

1959

---

<sup>9</sup> ხამისკური – პრეისტორიული სოფელი ხობის რაიონში.

<sup>10</sup> ურის – ბაბილონის დედაქალქი (IV ათასწლეული).

სოფელი

კოლხური ცა სიმყდროვეს –  
მძინარი სოფელს  
ათოვს დინჯად.  
(ერთი ფიფქი ახლა ოშობს\* ...—  
ჩვენ კი ვსხევგვარო  
შუაკერასთან,  
და ოჯალეშს ფერს ვუსინჯავთ  
დვინოს შუმს და  
ურიოშოს.

1955

\* መሰօ (ዘጋጀሻ) – ሂዕስ.



## ნახევარ მთვარე

ვარსკვლავები დედამიწას,  
ვითა მშობელს  
კვლავ დახარის.  
და ნალევა მთავრე ზეცას,  
ატყვია ვით ქრისტეს  
ფერდზე  
ნალახვარი.

1955



## სიბრძნე პეტრე იგორის

ცეკვითა და სიმღერით,  
სიცოცხლეს და  
სიბერეს,

უმადლოდე წინაპარს!

(მისგან წყველა არ გელის!)  
შენ გიძლოდა წინლამპრად,  
სიბრძნე პეტრე იბერის,  
იგივ არგეოპაგელის.

1966



\*\*\*

დამეული დარბაზიდან –  
გარსკვლავების გისმებ  
კაკუნს,  
ეს სამყარო ცხრად კი არა,  
ვცანი ათად.  
შეგვიცინებ მადლით სავსე  
ოქროს ტაპუპს,  
მზეთა მზეს და  
ცანი ცათანს.

1981



## ქასჩები

ოცი,  
 რასაც აკეთებ,  
 არაფერი გეშლება...  
 ხეთურ-ლურსმულ ტექსტებში –  
 სად სწერია ქასქების\* –  
 ძველკოლხური გვარები:  
 ქაშქია და ქათხარია,  
 შარია და ფიფია,  
 დოლ-ბაიასაც დავეძებ... და  
 დღეებიც მიპქრიან...

1992

\*ქასქები – წინასეთური მეგრულ-ჭანური ტომები  
 (ძვ.წ. XV – XIII სს.)



\*\*\*

მნათ-მოწაფით ათორმეტით  
(შუბლზე ფერი ადევს ნაცრის)  
აღსავლით რომ მიისწრაფვის –  
მზეა – ქრისტე  
და ოუდა – ბნელი დამე  
უპან მისდევს,  
რომ ცისკრისას ეამბოროს  
და დღე გასცეს!

1992



\*\*\*

წესრიგს იცავ კოსმიურს,  
უფალივით უვლი თავს,  
მაგრამ მაინც ემდური:  
ყოვლის მსმენელ –  
გულის-ყურს.  
ყოვლის მნახველ  
სულის თვალს.

2012



\*\*\*

ვითარც შენ იგავებით,  
დღე-ნათელი,  
ვინც ადიდა,  
მას გამოჰყავს თერგი კლდიდან.  
შენ აოტე შენი ხალხი  
წყვდიადიდან,  
ვითარც მოსემ –  
ეგვიპტიდან.

1977



## რეკვიესი

(2011 წელი, მიწისძვრა იაპონიაში)

სივრცე მიაქვს ქარს და ცუნამს<sup>1</sup>  
და უფალი აღარ უშლის,  
კვლავ ზეიმობს ცად ეშმაკი.  
და ადამის ძველ ცოდვაში ისევ  
ცურავს:  
ვუძუსიმა<sup>2</sup>,  
მიაგი<sup>3</sup> და სანრიკუში<sup>4</sup>,  
იგატე<sup>5</sup> და იშნომაკი<sup>6</sup>.

2011

---

1 ცუნამი (იაპ.) – გიგანტური ტალღები  
2,3,4,5,6, – იაპონიის ქალაქები



## მეგაზე

ლოცვით და უფლის დიდებით,

ცხრავე ცისკარი შეაღე

(არც ლეგენდაა,

არც მითი).


არ დირსებია მიწიერს,

ფსალმუნძეტყველი დავითის

მერე,

შენსავით მებაღე!

1964



\*\*\*

ალბათ ვერცხლი ერია,  
შენი ლოცვა მზეთამზეს\*,  
თუკი არ მიუვიდა.  
მაშინ უნდა დაიხრჩო  
თავი,  
როგორც იუდამ.

2009

\*მზეთამზე – მამალმერთი



\*\*\*

წარსულიდან ხმა ისმის –

ბრძენი მაკიაველის:

– სამშობლოა მთავარი!

მისი ოქრო მთა-ველის,

დღენიადაგ მატება.

– სამშობლოა მთავარი,

მას არ ეღალატება!

1996



## ქალღევჰები

ცეცხლის ალში იწვოდა

მთებიცა და

გელებიც.

მომხდურს სისხლი სწყუროდა.

და...

ძველ მცხეთას წვალებით,

ვინც მოვიდა ურიდან\*,

ურიები კი არა,

იყვნენ ქალღეველები.

1978

---

\*ური — უძველესი ქალაქი — სახელმწიფო  
შუმერში (ძვ. წ. IV ათასწლეული)



\*\*\*

(ვარიანტი)

პოლხეთის მკვიდრი,  
ზღვის ნაშიერნი,  
ხალხი ლეგენდა,  
ხალხი ზღაპარი:  
პალიძონები,  
მაკრალები და  
ქასქები,  
საით წავიდნენ,  
ან სად პჰოვეს  
თავშესაფარი?!  
ღელავს შავი ზღვა და...  
ჩემსავით გულზე ასკდება.

1988



\*\*\*

უფლის ხელით ნაწერი,  
განა ვარსკვლავებია,  
ისინია რიცხვები.  
ჩემი ცის მიმწუხრისას –  
სიყვარულის მწველ  
კოცონს  
ჩუმად მივეფიცხები.

2007



\*\*\*

დრო ერთია,  
მთლიანი,  
უფლის ანგელოზები –  
მას დღე-დამედ არ ჰყოფენ.  
ენატრებათ ამიტომ ხვედრი  
ამფიბიების,  
ვით ევას და  
ადამის,  
სიყვარულის ნაყოფი,  
ცას ასხია მთიები.

1972



\*\*\*

ცას ოვალებში უდგას სევდა,  
არ ჩანს ჟამი სადარონი,  
მაგრამ შენი ფსალმუნები,  
ხმელ კვერთს უცებ სასწაულად  
გაანედლებს,  
ვით აარონი.

1994



## ი შ დ ა

„წავიდა (იუდა) შიშთვალება  
და მოკუდა!“

ოთხ.

იყო ეშაფოტი

და იყო გილიოტინა,  
საიქიოს მგზავრობის  
ერთ-ერთ ლაიტმოტივად.  
ახლა თოკით „სიკვდილი“ უფრო  
გააქტიურდა  
და როს გნახ თოკ-შიშთველს,  
გაიელვებს იუდა.

1997



\*\*\*

გზას მიჰყვებოდი ეკლიანს,

არც ვარდი ჰყვაოდა,

არც იქლი.

არ გქონდა შენ სხვა არჩივი.

შენ „ფსალმუნებმა“

გადაგარჩინეს,

ვითარცა ღვთის მაღლმა –

დანიელი.

2013



\*\*\*

ციდან ხმა რომ ისმოდა,  
მეხთა-ტეხა არ იყო,  
ეს უფალი ბრაზობდა.  
ედემ-ბაღში აპრილის,  
თუკი შესვლას აპირებ,  
ლოცვით უნდა შეხვიდე,  
უფლის საღარბაზოდან.

2003



\*\*\*

გითარც წამი, გავიდა  
ორი ათასწლეული  
და თვეები ნაკლელი,  
რომ მოისმის გოდება –  
დედის,  
ჯვარზე  
გაკრელის.

2011



\*\*\*

(ვარიანტი)

კაგებასიონი გეპურა ფარივით,

არწივები ფრთებს –

აქ ილესავდნენ.

და ვითა გეა, თავის ანტეოსს,

ძალას გაძლევდა პონტო

ევქსინის.

აი, ამიტომ ყველა „ბრძოლიდან“

გამარჯვებული გამოსულხარ

აქილევსივით.

2014



\*\*\*

შენს პატარა გზას თუ ბილიკს,  
შორს მიმავალს,  
თუმც ერთ ციდას,  
შურის თვალი უმზერს ცივად:  
სულ სხვა ვარსკვლავები  
ცვიგა,  
„კოლხურ ფსალმუნების“ ციდან.

2009



## 01ეგ პლეგად საპვირველი

დიდგორიძან მოისმის –

ზარი დიდი დავითის,

რაც ცხოვრებას მიადვილებს.

მჯერა, ყველა ლეგენდა,

თქმულება

და მითი –

დგას კვარცხლბეკზე სინამდვილის.

1977



\*\*\*

(ვარიანტი)

ბრძენის სიტყვებს ვიმეორებ:

— არის ქვეყნად ისეთი რამ,  
მისტიური რასაც ახლავს.

თუ არ ნახე,

ვერ ირწმუნებ,  
არ ირწმუნებ?!

ვეღარ ნახავ!

2001



\*\*\*

წინაპართა ხმები ისმის –

აქ –

ფაზისთან,

იქ – ნილოსს.

ცას ვარსკვლავთა ნოტი შვენის.

ზღვა – ფერწერულს –

მოჰგავს ტილოს –

მატისის თუ ბოტიჩელის.

1989



\*\*\*

დღეებსა და ღამეებს –  
ზურგზე მტვერი ადინე...  
შენს წიგნშია ყოველი:  
წუთისოფლის უღრანში,  
მამის და ძის  
წყალობით  
რაც კი მოინადირე.

2000



0სეპ – 0აპრილ – 2011

ზღვები...

ოკეანეები...

შეძრწუნდნენ და შეშფოთდნენ...

ყოველივე ერთმანეთში აიბურდა.

მიწა იძრა თუ უეცრად

განურისხდათ დმერთი

ბუდა.

2011



1992

ყვავილობის დარი იდგა,  
მაგრამ როცა ძმამ  
ძმა მოჰკლა,  
ცოდვა დადგა ულოსავით.  
და მას შემდეგ  
ისხამს მიწა –  
ეპლებსა და კუროსთავებს.

1992



\*\*\*

„სომხური დამწერლობა იოანე  
ლაზარი (იეროთეროსმა) შექმნა“.  
ნოდარ ხვედელიძე

ქართველები  
სომებთა

შურს,

ღვარძლსა და სიძულვილს  
ძლივს-და იგერიებენ,

რადგანაც მათ იციან:

გარდუხდელი ვალი აქვთ –  
იოანე<sup>1</sup> ლაზის და  
პეტრე იბერიელის<sup>2</sup>.

1987

---

1 – მითრიდატე – (შემდეგ ში იოანე) ლაზი,  
კოლხეთის აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი  
(რექტორი) V ს.  
2 – პეტრე იბერიელი (არეოპაგელი) – იბერიის  
უფლისწყლი (V ს.)

\*\*\*

უხსოვარ დროის მითებიდან,

ისე,

გითარცა ცხვრის ფარას,

ათასწლეულებს მოდენი...

„ოქროს საწმისი“ გიფარავს

რაინდს –

„გრაალის ორდენის“.

2009



\*\*\*

ვითარცა მზე სამყაროს,  
ვარსკვლავების სამოსი,  
ავგაროზად გაცვია.  
შენი „ფსალმუნები“ კი,  
არის არსთაგამრიგის  
მადლის –  
ემანაცია\*.

1994

\*ემანაცია (ლათ) – გამოსხივება



\*\*\*

ციდან სტუმრად ჩამოსული

სული -

ცაში ეზიდება

სხეულს...

მაგრამ აწ შენშია:

მზის,

მთვარის და ვარსკვლავების

ნათელიც და...

ზე-დიდებაც.

2004



\*\*\*

განქარდება ცისქვეშეთში  
                        ყოველი,  
იმედი კი მაინც ბედის  
                        ცდაშია.  
მზე შორსაა, მაგრამ მოვარე  
                        ახლოა.  
„მშვიდობა მიწა“ –  
                        მეცამეტე ცაშია,  
სად ნეტართა დიდი სამოსახლოა.

1976



\*\*\*

ვარსკვლავებით დაწინწკლული,  
ნათლის სამოსელი გეცვას,  
არ დაჟკრავდეს ფერი  
ბინდის.

და ისე, ვით ოქროპირმა,  
გსურს აქციო მიწა –  
ზეცად,  
რომ „იქ“ ყოფნა გქონდეს მშვიდო.

2012



## პელაზგოსი

მითით და ლეგენდით,  
ცეცხლით და ომებით,  
ათასწლეულების კარები მოხურე.  
უკან ვერ დაბრუნდები ვერასდროს.  
ეგეოსის ნაპირთან ხმა ისმის  
კოლხური:  
— პელაზგოს<sup>1</sup>!  
„დგთისდარო<sup>2</sup>!“ —  
პელაზგოს!

1976

1 — პელაზგოსი — პელაზგების ეთნარქი, ეპონიმი

2 — „დგთისდარი“ — პომეროსის სიტყვაა

## ასხის მთებთან და შრთასთან

როგორც ათასწლეულები,  
ღრუბელს  
ღრუბელი სდევდა და  
ბნელში ქუხილს დაურთავდა.  
როს გრაალმა გაიელვა —  
ასხის მთასთან  
და ურთასთან,  
გთქვი: სიცოცხლე არ ილევა.

1979



\*\*\*

ცით მოსული,  
ცის ქვეშეთში,  
რაღან სიამაყით დახვალ,  
მწამს სამყაროს ყველა კუთხეს,  
ყველა კუნჭულს,  
რა დღეს,  
რა ხვალ! –  
გაგაგონებ მზით დათაფლულ  
ქართულ „ღურჯულს\*“.

1999

---

\*ღურჯული (მეგრ.) – გალობა



## 08ლისი სოცელში

თვალებგადმოკარკლულები –  
ჭონჭყში ყრია მოყიყინე  
ბაყაყების ნაფოტები.  
დასიცხულნი ცას შესცქერენ,  
წყალს და წვიმას  
აბოდებენ.

1964



\*\*\*

მიწას

ცა უყვარს დასაბამიდან,

მისი მზის გული ბევრჯერ

დაიწვა,

ბევრჯერ ყოფილა სიცოცხლით მთვრალი

და, აი,

ახლა,

მყინვარწვერით სურს დედამიწას,

ცას –

სიყვარულით დათხაროს თვალი.

1973



## მიმდინარეობის შესახებ

(მინაწერი ვაჟა ეგრისელის  
„კოლხური ფსალმუნების“ 1575  
გვერდიან მეტეთ ტომზე)

აღაპყრობენ ხელებს ცისკენ,  
თვალები აქვთ ცრემლით სველი...  
ლოცულობენ...  
დიდგულობენ...  
როცა ვაჟა ეგრისელის  
„ფსალმუნების“ რომ  
კითხულობენ.

2012



## ეგვენის ადამი

უფლის ბე –  
პელაზგოსი,  
მრავალათასწლეულთა –  
ნაპირებზე გადავა!  
ჰომეროსი მას თვლიდა,  
„ეგვენის ადამად“.

1964



\*\*\*

დილა,

ღამის ფარდაგს ბერტყავს

და გაცვივა მნათოა მტვერი.


ვით ქორიბის მთაზე მოსეს,

ცით ნაკერი,

ლოცვის ფერი,

ნათლის სამოსელი გმოსავს.

2013



სოფელი,

### საჭურო

„პოი, სოფელისა მრავალნი საცოტო  
ჩენდა რწეველია“.

არჩილი

„მივყევ სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაი!“  
გახტანგ მეგქესა

„ვაი, საწუროვ, ცრუო სოფელო“.  
დაგით გურამიშვილი

სამ პოეტს ერთი აწუხებს –

„საწუროს“ გაუტანლობა,

სხვა არაფერზე არ ჩივის;

ერთი აქვთ საგოდებელი:

გახტანგს, დავითს და

არჩილის.

1980

\*\*\*

ცისქარივით მზის ხელებით,  
მეცხრე ციდან მოგიხმობდა

შენ

სამყაროს ღია ჭერი  
და გარჯა არ გასვენებდა –  
ფუტკრისა და

ჭიანჭველის.

2012



## ადამ გადმონი

მეფობს ქარი და ქაოსი,  
არა ჩანს არც გეა,  
არც ზეგსი,  
არავინ არავის არ ჰმონებს:  
მიწიერ ადამის ხმა ესმის,  
ცისიერ  
ზე-ადამ კადმონის\*.

1989

\*ადამ კადმონი – „პირველდედანი მთელი კაცობრიობის“



## მეოცე საზგრე

შავი ღრუბლით დაფარული,

შორით მოჩანს ცა —

მდიდრული,

მაგრამ წითელ ქარს და...

წითელ

ჭირს უპყრია განუქურნელს —

მწუხრივით ოვალდაბინდული,

გონდახშული საუკუნე.

1971



\*\*\*

ოდი<sup>1</sup> გზას გინათებდა,  
ქალდეველთა ნაშიერს;  
კარდუს<sup>2</sup> ოქროს სიტყვას კი  
მზის ქურაში ადნობდი.  
ცა გიცავდა...  
უფლისგან –  
ხელდასმულს და განდობილს.

1970

1 – ოდი – მთვარის დვთაება ბაბილონურ პანთეონში  
2 – კარდუ – ქართუ – ქორთუ – ქართველი, საქართველო



## აზერი და ახალშენი

ვით ცამცუმის ბროლის კოშკი,  
სულ ბროლის ქვით  
აღაშენე:

პოეზიის ახალდაბა,  
ცათამბჯენი არშის ციხე,  
აწყური და  
ახალშენი.

2012



## ეპ-მნში და აია

სადღაც,

შორეთს შენი გვარი –

დოლბ-აია,

ისევ ისე გეგულვის,

რადგან იცი: ეა\*-ენქი და აია,

ისე, როგორც სულიწმიდა,

ერთია და სახლი მისი

(კოლხეთს) გახლავთ

ენგური.

1971

\*ეა-ენქი – აია – შუმერებამდელი – კაცობრიობის გვარის  
შემქმნელი, სიბრძნის დგომება



## როგორც მოსე

ათასწლეულების მერე,  
კვლავ კითხულობ,  
როგორც მოსე,  
რაც კოლხეთში კვლავ შენიგოდა –  
"ათ მცნებას"  
და "საგალობლებს",  
ჩამოტანილს სინას მთიდან.

1981



## გაგილონის ისტორია

დავითების მტვერწყვილებს:

ოთი არტის<sup>1</sup>,

და სისიტრის<sup>2</sup>,

ამემსინას<sup>3</sup> და

ამენონს<sup>4</sup> –

ხსოვნის ძიძა მისწოლია, –

ქალდეველთა მეფეები

ამშვენებენ –

"ბაბილონის ისტორიას".

1976

1,2,3,4 – ბაბილონის ქალდეველი მეფეები



## ქალდი-ქორთუ და კარდუ

პონტოს მდვრიე ზვირთებში

წარდგნას გადარჩენილთა —

გესმის შენ საუბარი —

ერთ ენაზე უბნობენ:

ქალდი-ქორთუ და კარდუ,

კოლხიცა და

სუბარიც.

1972



## ციხე-გოჯთან

შვიდი ათასწლეული –

ფიქრმა გადაიქროლა

ხსოვნის თეორი ტაიჭით.

ციხე-გოჯთან კოლხეთი

შეეგება ნაშიერს,

ცხრა მზით და

ცხრა კარიბჭით.

1968



ALLEN

## ადაპტას, ნინთის და ზოშედრას

უშენებდნენ ტაძრებსა და  
 ზიქურათებს  
 ცით მოვლენილ აია-ენქის  
 და უწყობდნენ იქ შეხვედრას,  
 რადგან იგი მფარველობდა  
 თავის შექმნილ:  
 ადაპტას<sup>1</sup>,  
 ნინტის<sup>2</sup> და  
 ზიჟსედრას<sup>3</sup>.

1968

1 – ადაპტა – ადამი

2 – ნინტი – ევა

3 – ზიჟსედრა – ნოე

## ვიზნები

მინაწერი "კოლხური ფსალმუნების"  
1000-1500 გვერდიან ტომეულებზე,  
რომელშიც 15 000-ზე მეტი ლექსია  
დაბეჭდილი.

გიხარია და...

თვალები,  
სიხარულის ცრემლებით გეგსება;  
— გრაალის სასახლის მიმგნები,  
რომ შვილებით მოგეხწრო —  
ლექსები,  
შვილიშვილებით — წიგნები.

2014



## მნიშვნელობის გელი

რომ ხედავენ პირველქმნილს,  
ზღვისკარად მდგარ სამოთხეს –  
ედემს –  
სამეგრელოსი,  
ეჩვენება ის "ზოგ-ზოგს",  
მტანჯველ ველად  
ენოსის\*.

1991

\*"ენოსის ველი – სულის მხეფთავი სივრცე, სადაც  
სული განიცდის მარადიულს ტანჯვას".



\*\*\*

იუდის კერძს,  
ბილწს და გამცემს,  
სათოფედაც არ იკარებ,  
ოქროში არ ურევ ქვიშას.  
და გაღებას –  
"ციხის კარის",  
მეცხრე ციდან ელი ნიშანს.

2014



\*\*\*

შენ კი გინდა ეს სამყარო –  
უსაზღვრო და უსამანო  
ხელისგულზე დაატიო!

და...

ამიტომ შუა უზისარ –  
ვაჟასა და  
გალაპტიონს!

1999



\*\*\*

შოთა რეული წარსულიდან,  
მზის ბილიკით მოჯადოქრობა...  
(სახეს ფერი ადევს მგელთა)  
და აქა-იქ ბიბლიაში  
ისევ ჟონაგს ხმათა ოქრო –  
ბიბლიამდელ –  
ქალდეველთა.

1969



\*\*\*

აიეტის კოლხეთიდან,  
ადრე მოსულ "ქრისტეს  
მხედარს",  
შურის გარდა ვინ დაგდლიდა?!  
რასაც სხვები ვეღარ ხედავს,  
შენ ხედავ ცის –  
სიმაღლიდან.

2010



## ცა პგავს პეთილ ღმერსონს

ღამე ტიტელ-შიშველი,  
ვარსკვლავებს სურთ შემოსონ!  
სადღაც ელვა გაჰკივის –  
ამას მეხი ნუ ითმენს!  
ცა – ჰგავს პეთილ  
ემერსონს,  
ზღვა – უმადურ უიტმენს.

1972



## ქალდეველები და შუმერები

როცა პონტო თვალს ახელდა,  
წამოვიდნენ კოლხეთიდან –  
პირველყოფილ დასს  
ახლდნენ.  
და ქალდეველთ ნასახლარზე  
შუმერები დასახლდნენ.

1971



\*\*\*

სადღაც,

მეცხრე ცის იქით,

ელვა ჩუმად ჩაივლის,

მეხს კი გააქვს გრიალი...

ათასფრად მოყვავილე

ცა —

ბაღიძ ედემის,

მთვარე — კოშკი გრაალის.

1984



\*\*\*

იმედის ბაღში მზის და სინათლის  
 და სიმღერები ისმის ზესკვების\*  
 (არა ჩხავილი ძერის ქარდების!)

თქვენ ისევ, როგორც  
 სიპვდილ-სიცოცხლე,  
 ერთმანეთს კვლავაც გადაეფსკვნებით,  
 შეგიყვარდება...  
 შეუყვარდები...

1964

\*ზესკვი (მეგრ.) – შაშვი



## ტუტანქამონის აკლდამა

დიდი კოლხეთის წარსულიდან  
მოჯადოქრობდი...  
უპან მოგდევდა ხმა –  
რაინდთა,  
ზოგჯერ ხმა მონის.  
"კოლხური ფსალმუნები" –  
შენი აკლდამაა,  
სავსე ოქროთი,  
ისე, ვითარცა ტუტანხამონის.

1993



\*\*\*

ქაჯავეთს მიხვალ საომრად,  
შენი ფარ-ხმალის მზითვითა,  
თან გახლავს ძველი კოლხეთი,  
ოქმულებებით და მითითა.  
გსურს,  
რომ ხელო იგდო  
ის "ჯაჭვი",  
ქაჯთ რომ "აასხეს თითითა".

1966



## ყოველი

„ყოფნა, არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის“  
შექსპირი

ვითა იესო,  
შენს ჯვარს და ლოდს  
მიათრევ მძიმეს...  
ისევ ისე წერ, ვითარცა წერდი.  
და ყოფნას უსვამ  
ეშირ-ეშირად მძიმეს,  
სანამდე თვითონ დაგისვამს  
წერტილს.

2018



## გათხვება

დამეს ოქროს მნათობებით,  
პირთამდე აქვს სავსე  
უბე  
თავს იწონებს ცა – ქალწული,  
დასავლეთით მიჰყავთ  
ღრუბლებს  
მთვარე ელვით გაბაწრული.

1954



## ვეღრება

„სხვამან მიიღოს სკიპტრად,  
სხვასა შეუდგნენ სპანი,  
მაშინ შემიწყალენ მსაჯულო ჩემო!  
დავით აღმაშენებელი“.

ლეგენდიდან მოსულების,  
ვარ მეფეთა ნაშიერი,  
ვითა ქუჯი,  
ფარნავაზი  
და ადერკი,  
სკიპტრას არ გთხოვ  
უამს განკითხივის,  
მზეთამზეო! –  
ნუ მამყოფებ  
თავდადრეკით!

2015

## ხილვა: ჰერეთი (ძგ. ჭ. მეორე ათასობის უნდო)

ჩამომდგარა სულ სხვა ერა,  
 ჰერეთსა და  
     კამბეზოვანს<sup>11</sup>.  
 ასპიროზი<sup>2</sup> ჯერაც არ ჩანს.  
 და „ვეშაპებს“<sup>3</sup> დაცქერს ჰერა<sup>4</sup>:  
 კირს<sup>5</sup> და კამბისა<sup>6</sup>  
     და არშანს<sup>7</sup>.

1962

---

<sup>11</sup> კამბეზოვანი – ქიზიყი,

<sup>2</sup> ასპიროზი – მაცდური არსება,

<sup>3</sup> ვეშაპების ქულტი,

<sup>4</sup> ჰერა – ქართული წარმართული მზის დეოგება,

<sup>5</sup> კირი – მტკვარი,

<sup>6</sup> კამბი – იორი,

<sup>7</sup> ანშანი – ალაზანი.

მთვარე,  
გარსპოლაგები

მზე...

მთვარე და სხვა მნათები,  
დიდი და პატარა ღმერთებია.  
გარსპოლაგები კი —  
ანგელოზებია, —  
მიცვალებულთა სულებს —  
ღამეს რომ უნათებენ...

1961



## სიზოდე

ღმერთებისაგან ულვთოდ  
დასჯილი,  
შენ ხარ სიზიფე –  
მეფე ტიტანი!  
და დედამიწა, ვითარცა „ის ქვა“,  
მხოლოდ შენ ძალგიძს  
მეცხრე ცაზე რომ აიტანო.

1960



## სიმავრცე

კოლხეთში რომ გეგულვის  
ოქროს თასი გრაალის,  
მიტომა ხარ ჯერ მშვიდი,  
და „კოლხურ ფსალმუნებში“  
სიბრძნე არის ჩაღვრილი:  
ჰერმეს მეგვიპტელის და  
დიდ ხელმწიფე ჯემშიდის<sup>12</sup>.

1961

---

<sup>12</sup> პერსეპოლისისი ამშენებელი (ეგვიპტე).



## შენ, გიორგი ვარციშვილს

რადგან ძველი კოლხეთის –

ქრისტეს სისხლით დანამუშლ  
მიწასა და

ცას იცავ!..

და ღმერთებთან დავისთვის,

შენც,

ვითარცა პარციფალს,

გერგება და

გეგულვნის:

თასი,

შუბი – გრაალის,

ჯადო – ხმალი დავითის!

1993



## უშგულში

აქ – ცა ისე ახლოა,  
შეგიძლია, რომ შესდგე,  
ჩუმად ფეხისწვერებზე  
და კაბადონს უშგულის –  
ჩამოკრიფო მერიცხი<sup>13</sup>,  
უშქარი და ურიცხვი,  
ვით კვეტელა უშქური<sup>14</sup>.

1956

---

<sup>13</sup> მურიცხი (მეგრ.) – ვარსკვლავი.

<sup>14</sup> კვეტელა უშქური (მეგრ.) – პანტა ვაშლი.



## სამი გარსპოლავი

შორით მომავალ დღის მომლოდინე,  
ღამე,  
თითქოს და დევის ქალია  
და ცრის სიშორეს –  
მთვარის საცერით.  
ცას კი მკლავებზე  
სამი ვარსკვლავი,  
ატყვია ისე,  
კით ანაცერი.

1958



## କମଳା

ପାରାସ ଫାଲାଶି ଫରିଦିନା ଶୁଭରାତ୍ରେ...  
/ଗିତ ଗରାମାଘରନୀ ହାନ୍ତି  
ମହିନୀ/

ଫାଲାକୋନି ଅଚ୍ଛିବା ଶୁଭବା,  
ହେଠି ଲାମାଖ ବେଳେଲେ –  
କାଲାଶିଗିତ.

1958



## 188 სოფელში

ხსოვნის პატარა ტოტი ქანაობს  
სულ სხვა ჟინით და  
აკვიატებით:  
ოოვს...  
და სკვიასთან<sup>15</sup> –  
მოგონების გზივარ კარავჭი,  
თოფი ჩახმახზე მიყენია,  
მაგრამ ამაოდ!  
მხოლოდდა ღვაატ!..  
ღვაატი!..  
მესმის პვატების!

2017

---

<sup>15</sup> სკვია – პატარა ღელე სამეგრელოში.



## სიპრეზი – სიცოცხლე

დასაბამიდან გრძელდება დავა:

/ორივ სწორია,

ვით სამართლის მცოდნეს

რომ მკითხონ/

სიცოცხლე – ყოფნას!..

სიკვდილი კი არყოფნას ითხოვს!

2001



## მთვარე სეული

შორს,

სადღაც,

იქით ათასწლეულის,

ელვა, ხმლის კრთომას მოპგავს

გუთების.

სპეტაკ ღრუბლებში წევს სიყვითლით

მთვარე სნეული...

და კარსკვლავები –

დამეს უთევენ...

1969



## ყოფნა, არყოფნა

ყოფნა ფლიდია!

არყოფნა კი სალი კლდე არის,  
ჩვენ მაინც ყოფნის ყორეს  
ვეღებით.

გადაიფრენენ ეს დღეები  
დამფრთხალ მტრედებად.

აი, ამიტომ,

სიცოცხლის არა!

სიკვდილის უფრო მეიმუდება.

2017



## სზონძსი

საუკუნეებს დასავიწყებლად,  
უამი მიღალავს,  
როგორც ცხვრის ფარას,  
და არარაობს...  
ეგვიპტიდან კი გვინანავებს  
მთვარის მარაოს –  
ბებერი სფინქსი,  
ვითარც ურიცხვ სპაოა ფარაონს!

1991



## გრავლის ტაძრები

დამის ცას,  
რომ ანთებს, და  
აალებს,  
ვარსკვლავები —  
ტაძრებია  
გრავლის.

1959



## პოეზიის რაინდი

წარსულიდან დღეები  
მითებსა და  
ლეგენდებს,  
ფარასავით მოდენის...  
და... შენც, „სიბრძნეს ღვთაებრივს“  
ეზიარე კოლხეთში.  
მერე, ვით პარციფალი  
ღირსი გახდი „რაინდის“<sup>16</sup>  
და „გრაალის ორდენის“.

2015

---

<sup>16</sup> ვაჟა ეგრისელს 2013 წელს მიენიჭა „პოეზიის რაინდის“ წოდება



\*\*\*

მოულოდნელად ხმაზე ქუხილის,  
გაიბარჯდება სიბნელეში  
ელვის ტოტები.  
და მის მკრთალ შუქზე გამოჩნდება  
სველი ღრუბლები –  
მთვრალ დევებიგით მთებისკენ,  
ვით მიაბოტებენ...

1964



\*\*\*

ჩანდა – ღამის უღრანიდან,  
მეხი ჩუმად გამორბოდა...  
გაპრთა ელვა –  
ერთი ციდა  
და შენ ნახე ქარბორბოლა,  
ზღვისპირ ქვიშას  
როგორ ცრიდა.

2005



\* \* \*

ხიდან —

ჩვენი სიცოცხლის,  
ცვივა ოქროს ნაყოფი...  
რის ჩინური კედელი!  
თხმელის წკნელის დობეა, —  
შუა,  
ყოფნას და არყოფნის.

2001



\*\*\*

ლოცვად მოუსხამს ზეცას მთიები  
და შორეული სივრცე  
იტაცებს...  
მთვარის ბინადარ მგოსანს –  
მთვარის მოსავს მშვენება  
და ჩამოსულა დედამიწაზე, –  
„უფლის ბაღის მოსაშენებლად“.

2001



\*\*\*

მარადიულ ცის ტილოზე,  
ხელთ მზის ფუნჯით  
საოცრებებს  
ქმნიდნენ უფლის კარნახით:  
გოლბეინი,  
დელაპრეა,  
სეზანი და კრანახი.

1963



\*\*\*

ვით მზე დილას –  
მღიმარეს,  
მსურს, რომ სული აღმომხდეს,  
რომ მოგირჩეს სიყვარულის  
იარა.

და იცოდე –  
აქ – მიწაზე კი არა,  
ცაში არის სამოთხე!

2003



\*\*\*

სადღაც ათასწლეულების –  
ძველ ჭალაში,  
კით არესის,  
დავიწყების ბუდობს ჰიდრა  
და ხსოვნა კი მის მტერია,  
სწორედ მას  
მსურს გამოვტაცო,  
მე „გოლგოთი მისტერია“.

1974



\*\*\*

როს მზემ დასავლით თვალი მიღულა,  
მწუხერმა ცის მკლავზე  
გარსპევლავი აცრა  
და გამოცოცდა დრუბლებიდან სხივი –  
ც ა ხ ც ა ხ ა.

უცებ იქუხა და... ყოველი აქცია ნაცრად,  
ფეხი დაადგა სიმყუდროვებ  
მთვარის ნასახლარს.

1968



\*\*\*

რა ვქნა!

კოლხური —

„ჩემი ფსალმური“,

დიდ მეფსალმურის —

დავითისაც ვერ

დაგამგებანე,

აი, ამიტომ მიპირებენ დავას იჭვები.

მაგრამ მე მაინც

ფიქრის არგანით,

ათასწლეულთა უღრანებში დავაბიჯებდი.

2003



\*\*\*

სიცოცხლე,  
სიკვდილი,  
ყოფნა და არყოფნა,  
თითქოს ვივალდის ოთხი სონეტია.  
საქართველოში ოთხი პოეტია,  
სხვა ათას დანარჩენს,  
არავინ იცის –  
ჟამი თუ დაარჩენს.

1993



\*\*\*

ხელთ ეპყრა კოლხური მთვარის ნაჭერი!  
მიწა ქალამნად,  
ჰქონდა ცა ჭერად.  
და მეოცეში ზღაპრულ პეგასით  
მოვარდა უკან მოუხედავად...  
...თითქოს შორეულ  
წარსულიდან –  
უცხო მხედარმა,  
თეთრი ტაიჭი შემოაჭენა.

2001



## რაზაელის პარნასი

პეტრარკას და ალიგიერს,  
ძლიერთ...

განა უუნაროთ,  
ყველას ბედი ჰყავდათ გზირად,  
თვით „პარნასის“ ფრესკით  
მზირალ –

დიდ რაფაელს...

დიდ ანჯელო  
ბუონაროტს.

2000



## ხილვა: ხვილისშვილები

გეშას წყაროსთან\* კოშკი დგას,  
ცხრათვალა,

ცას მიბჯენილი  
და შიგ კი ოქროს ტახტი დგას,  
მორიგე მამა-ღმერთისთვის.  
ოქროს შანდლებზე – ოქროსვე  
ცრემლია ჩამოღვენთილი:

რადგანაც სტკივათ სახსრები  
კლდეებს,

დღეებში მიშლილებს...  
და ვჭვრეტ „დარანთან“ ალვის ხეს,  
მის ოქროს ჩრდილქვეშ ჩამომსხდართ –  
ოქროსფრთებიან – ხვთისშვილებს

1998

---

\* გეშას წყარო – უკვდავების წყარო.

\*\*\*

ჰერას ვარიგებ...

ლექსები კი არ მიგონებენ!!!

სიტყვები ჩემი პგვანან შეთვალულ

ბალს თუ „რქაწითელს“.

დავბერდი კაცი!

და სტრიქონები,

რაგენა

გერაფრით გერ დაგამწიფე!

2000



## ლაზარე

„და ესე ენაი? მძინარ არს დღესამომდე,  
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე  
პრქვან“.

იოანე ზოსიმე

გადაურჩა არაბებს,  
მონღოლებს და ხაზარებს.  
ათას შურსა და მცრობას,  
ასი ათას ლიზღებას.  
და მძინარე ლაზარე  
ახლა შენგან მოელის,  
კოლხო!  
გამოღვიძებას.

1966



## სამება

მამა,  
ძე და სულიშვილა,  
სამია და არის ერთი,  
ისე, როგორც „სამთავისი“,  
„სამაია“ და „სამშვილდე“  
და არაგვიც გახდავთ სამი:  
ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთის.

1968



\*\*\*

ითვლი მკერდზე –  
გარსკვლავების ნაიარევს,  
საოცრებას მაინც ელი.  
მიხვალ...  
და გზა არ იღება...  
ტბა აღარ ჩანს გალილეას,  
ვით იესომ გაიარო  
და არ გქონდეს ფეხი სველი.

2001



\*\*\*

ვითა სკა ახალნაყარი,  
მიღეთში აღარ ეტევით...  
მოსულნი ურით,  
მეთანით!  
ხართ ქრისტეს ძვალის მკვნეტელნი –  
ნაშობნი იქედნეთანი.

1989



## აღ-ქინდი და აღ-ღაზილი

შოორ წარსულში –  
გაკრთა ელგა,  
თითქოს უფალს ჩაეძინა,  
როცა ბოდბებს ყური მოჰკრა:  
აღ-ქინდის<sup>1</sup> და  
აღ-ღაზალის<sup>2</sup>,  
ავეროებ<sup>3</sup>,  
ავგვინას<sup>3</sup>!

1969

---

<sup>1,2,3,4</sup> – არაბი ფილოსოფოსები.



\*\*\*

წუხილად ცაში ასული,  
ისმის ძაღლების დაგდავი,  
მთვარე ცაში ვერ ეტევა.  
და, ვით დევი და ავსული,  
ოფას შეკაში დამდამით,  
რაღაცა დაეხეტება...

1959



## 01ხსარი და პეღველა

ადამის ძეთა ნაშიერს,  
ცხრათავიანი დევების  
შიშით რომ აღარ ედელვა;  
სულ გვერდით ედგა კვირია<sup>1</sup>,  
იახსარიც<sup>2</sup> და  
ბედელაც<sup>3</sup>.

1966

---

<sup>1,2,3</sup> – ქაცობრიობის განმასახიერებელი (ხევსური) გმი-  
რები



\*\*\*

ზვირთებზე ამხედრებული,  
მწუხარი ნაპირებს მიადგა.  
და ახლაც,  
ვით წინათაც,  
ვიღაც ბინდბუნდში კითხულობს  
სულებს,  
ზღვის ფსკერზე ბინადართ.

1960



## ისეგ კოლეგიას მისამართი

ათასწლეულების მერეც,  
სიტყვა აღარ იცვლის იქრს,  
ასე სჯერა პანს გზენგერს და  
დიოდორე სიცილიელს:  
რომ პირველად კოლეგიას იშვა  
მისტერია,  
ცას რომ იტევს  
და არა რომს და ეგვიპტეს.

1978



AUGUSTA

\* \* \*

იქ დავიდებ საცხოვრისს,  
 ჩანგითა და კითარით,  
 სადაც საუკუნენი  
 მიჰქროლავენ წამებად.  
 სანოელს ვუნოებ სამებას,  
 ვითარც ერთს.



\* \* \*

წარსულ უამთა მზის სარკეში,  
ედემიდან განდევნილი,  
ომაგაშლილი მოჩანს ევა...  
მე, ვით ადამის ძე – სეთი,  
ანდა სამოთხეში შევალ,  
ან მომელის ჯოჯოხეთი.

2001



## არყოფნის გიხდება მოცდა

ყოფნისთვის კი არა,  
ეხლა,  
არყოფნის გიხდება მოცდა.  
მაღლმფენელს, სულისთვის ამოს,  
მეცხრე ცის მინდორზე ლოცავ,  
კირკესი კი არა,  
სხვა მოლს!

1989



\* \* \*

იდუმალებით სავსეა ეგვიპტე,  
მაგრამ კოლხეთი  
სხვა რამეა,  
სამყარო რომ უდგას თვალებში.  
შენი პოეზია –  
სავანეა,  
„ფილოსოფიური ქვით“ ნალესი.

1970



## სამება

იქ სადაც სინათლე მეუფობს  
და აღარასოდეს ღამდება,  
გზას რომ სიშორის  
აუდის ალმური,  
ხატება იქ ილანდება:  
გრაალის, საწმისის,  
კოლხური ფსალმუნის.

1993



\* \* \*

„მინაწერი „კოლხები ფსალმუნების“  
ათასეუთასზე მეტ გვერდიან მესუოვ ტომზე.

მორჩა,

სიბრძნის მზე ამობრწყინდა –  
თითქოსდა წადილი აისრულე,  
რადგან, ვით დავითის „ფსალმუნიდან“  
ათასწლეულებით დაისრული,  
„კოლხეურშიც“ ხმა ისმის  
ქეიბურთა,  
უცხო რამ, აპოკალიფსური.

1996



## ტრანსცენდენტური\*

დღე და დამე, —

შენი ოქროს ფრთებია

და სამყაროს ატოლებ.

მზე და მთვარე, ვით ნიშა და ნიკორა,

ჟამთა ურემს —

შენმა ხმებმა შეუბეს.

ქართულ სიტყვის შენ ხარ იმპერატორი,

სული წმინდა...

და ცხრავე ცის მეუფე.

1999

---

\* ტრანსცენდენტური (ლათ.) — რაც საზღვარს სცილდება, შემეცნებისთვის მიუღწეველი.



\* \* \*

ცას რომ წვდებოდა წვერით  
ოდესდაც,  
ცნობადის ის ხე ისევ ირხევა:  
კავკასიონის დიდი მთები  
ტიტანს ელიან.  
აიეტის კოლხეთი კი – ძველი ციხეა,  
სამეგრელო –  
საქართველოს ციტადელია.

1962



## ისეგ ბამოცხალება

ორი ათასი, ვით წამი  
გაქრა და...  
მთაზე სიონის,  
ისევ ისე დგება კრავი.  
მისდგომია მზე კარებთან.  
ვარსკვლავები ქნარს უკრავენ,  
ვისმენ ჰანგებს მექნარეთა.

1979



\* \* \*

ადამიანიც რწყულდებოდა  
საქონელივით,  
სანამ გონებამ ზარი დარეკა,,  
მენდელევთან და სხვაა ჰალევთან.  
ადამის ძეს კი ხომ ათასი  
წელი არ ეყო,  
სანამ წყაროს წყალს პეშვით  
დალევდა.

2009



\* \* \*

პონტისა და ფაზისის პირ  
ადრე მცხოვრებ  
კოლხ-ლაზ-ჭანებს

იხსენებენ...

ესიზმრებათ,  
ათასეულ წლების მერე,  
სამეგრელოს კოხტა ჭალებს.

1988



\* \* \*

(ვარიანტი)

ვითარც ადრე,  
აღსავლიდან,  
როგორც სიბრძნის ქარიშხალი,  
„ღაზელების“ ჰქრის სამუშა:  
ელ არაბის,  
ხაიამის,  
საად, ჯალალ ედ-დინ რუმის.

1971



\* \* \*

გადაიქროლეს ყრმობის ქარებმა,  
გათავდა,  
მორხა ჟამი გამოცდის.  
სიცოცხლით მთერალი,  
სიცოცხლეს მღერი.  
ჩამოიფერთხე წელი სამოცი  
და აი, ახლა,  
სამოცდაათის –  
გაცვივა მტვერი.

2008



\* \* \*

მოხვედი,  
შეგ შვენის,  
კაცური სალამი.  
რადგანაც ცხოვრება  
შექმენი შენ, შენი,  
ვით გრიგოლ პალამაზ.

2007



\* \* \*

ცაში ანგელოზები,  
ავს და კარგს ვერ  
არჩევენ,  
მიწაზე არ ეტევა –  
ოქრო,  
ვერცხლი,  
ფარჩები.  
ბოლოს ქვეყნად ყოველი,  
ყველას ოხრად დარჩება.

2009



\* \* \*

ახლაც,

აფისმდომის ლანდი,  
საქართველოს მინდორ-ველად,  
დაჭიხვინებს, როგორც კვიცი.  
და ქართველი ისევ ელის,  
ხმალზე სისხლის  
წითელ სიცილს.

1989



\* \* \*

უყვარს ნორჩი სიცოცხლე,  
ბებერსაც არ თაკილობს  
სახით —

ნიანგს მიაგავს  
და სიკვდილი ნიადაგ  
ყველგან ეძებს  
საპილოს.

2007



\* \* \*

ვით ჩინელს და ინდოელს,  
კარგად მოეხსენება,  
ხორგელსა თუ  
ანაგელს,  
რომ ცა-მათი ღმერთია  
და ბედსაც ის  
განაგებს.

1977



\* \* \*

ვარსკვლავებით ადიდებულ,  
დამის ოკეანის გიღმა,  
რაღაც უცხო მოჩანს  
ხომლი,  
რომელიც ცას ბნელით ნაღმავს,  
გაგრამ უფლის,  
ხატიც გაიელვებს ხოლმე.

2005



## მთვარის თასი

უსამანო...

და პირთამდე –

მზით და ვარსკვლავებით  
საგსე

ცის სილურჯე ჩვენ რომ შევსვით.

ის არ იყო მთვარის თასი,  
თავის ქალა გახლდათ ზევსის.

1961



\* \* \*

რადგან წუთისოფლის ქვაბში,  
ჟამი უღვთოდ გვაგვარგვალებს\*,  
მით ცხოვრება მიჩანს ხურმად,  
როს სიცოცხლის გავალ გარეთ,  
საუცუნის კარსაც ჩუმად  
გავიხურავ.

2008

---

\* გვარგვალი (მეგრ.) მაგრად დუღილი.



## გასაპები

ეტყობა რომ აღარ ჭრის  
გაზაფხულის სიმწვანე,  
ტყის ფერი და ასაკი,  
თორემ ამდენ „კვა-კვასი“,  
ვინდა მისცა უფლება,  
ოვალჭყაბია ვასაკებს.

1977



\* \* \*

შორს რომ მოჩანს დარჩელია  
და ახლოს კი ხეთაა და  
ხამისკური,  
ნოჯიხევი და შემდეგ კი ბია.  
ღამეა და...  
ღამეს ისევ დარჩენია –  
ვარსკვლავებით მოჭედილი  
მოვარის კარი დია.

1969



\* \* \*

ზმანებებით კი არადა,  
პონტოს ზვირთში ნათლად ვხედავ –  
ფარ-შუბოსან ამაძონებს.  
და ჩემს მოხუც მამას –  
მოვარეს,  
გარსკვლავთ ფარას რომ აძოვებს.

1962



\* \* \*

უცემ მოვარდნილი ქარი,  
მშვიდად მძინარ სანაპიროს –  
დააცხრება როს კიფილით,  
და... მაშინ ზღვა –  
როსკიპივით,  
ვეღარ ისვენებს და ანჩხლობს.

2003



\* \* \*

გადაუვლიათ ათასწლეულებს...

მათი მზე მაინც აღარ

ბრწყინდება:

იქ ამირანტთან,

ბრილს და არხილოს.

წინაპრებს ჩვენსას ბნელში ძილი

აღარ წყინდებათ

და არც სურთ თვალი სინათლეში

რომ გაახილონ.

1992



\* \* \*

შორი სიჩუმით შემობურვილი,  
 ზოგჯერ რომ გვაკრთობს  
 ელვის ძახილით  
 და ფეხზე მდგარი დამეს რომ ათევს –  
 ცაა – ბოსელი,  
 ვარსკვლავები არის ნახირი,  
 დილამდე რომ ბღავიან ნათელს.



## კაცი – ლეგენდა

მზის ბილიკებით –

შოორეული გზიდან მოსული,  
კოლხთა წარსული შემოგეპედლა,  
რომელსაც უამი კვლავ ატრიალებს,  
მაგრამ შენა ხარ კაცი –  
ლეგენდა,  
კოლხოსის\* ძე... და მემატიანე.

1965

---

\* კოლხთოსი – პელიოოსის მმის – ფაზისის – ძვ,



## გურიას მნა

პროფესორებს, მამა-შვილ  
მამანტი და ცირა ძაბამიებს.

### არც ლათინური

და არც ბერძნული...  
უნდა ვიტანჯოთ, როგორც  
იობმა —

პირველ საწყისთან არდაბრუნებით.

უნდა იცოდეს კაცობრიობამ —  
პირველი ენა იყო ბუნების.

2007



## რეა-კიბელის ძარღმები

ღმერთკაც პეფესტოს ცეცხლის ქურაში,  
ხალიბთა მიერ ნაჭედ

ცულებით –

შორი წარსული გადამიბელეს.

და...

პონტოს პირას, რომ ლოცულობენ –

ქურუმებია –

რეა-კიბელეს\*!

1986

\* რეა-კიბელე – ყველა ქალღმერთთა დედაღვთაება.



\* \* \*

გაუას მაღალ ქედებიდან,  
არაგვი კი ისე მოჩანს,  
ვითარცა გზა საურმე.  
მალე მოვა ზამთარი და  
მოებს ჭაღარას  
გაურევს.

1986



\* \* \*

ვთქვათ და ოდესმე ჩვენ კოლხ  
წინაპრებს,  
მძინარო მითებში და ლეგენდებში,  
ჩვენს დაძახილზე  
გაეღვიძებათ,  
და თვალს მოგვარაცენ  
იმ სიშორიდან,  
თუ ჩაგვთვლიან ნეტავ  
დვიძლებად?!

1988



## მს მთები

მზის ნაშიერებს\* ესე ქვეყანა,  
 სამეუფოდ ახლაც ერგებათ!  
 ქართული ცისქვეშ რომ დამეს  
 ათევენ –  
 ეს მთები ალბათ არის ძეგლები  
 კოლხთ წინაპარი  
 გოლიათების.

1971

---

\* მზის ნაშიერები – იგულისხმება „აიეტიდები“ –  
 ჰელიოსის შთამომავალნი



\* \* \*

გაფანტულან წლები ჭავლად,  
(ალბათ სიკვდილს ეჩვევიან!!)  
უშენობა სულს მიმჭვალავს)  
ისევ გიხმობ შენ,  
ჩემიანს.  
ჩვენი თბილი ნაფეხური პარას  
ჭალას,  
ნუთუ ადარ შერჩენია?!

1964




\* \* \*

ფეხშიშველი ელვა ისევ –  
ლრუბელ-ლრუბელ  
დაწანწალებს.

და იხრება მზე –  
დასაგლით.

მამაჩემი დგამს ანწალას  
ტყისპირ,  
პირამიდასავით.

1956



## შ გ მ ა რ ი ს ო ბ ა

ღმერთად მიგაჩნდა სიტყვა ქართული  
და პოეზიის იყავ მხევალი.  
სათქმელი!?

აუ! გქონდა რამდენი,  
მაგრამ ვერა თქვი მის ნახვარიც.  
გაფრინდა ჟამი,  
ვით შევარდენი;  
ალბათ, სულს,  
მალე,  
მოგოთხოვს მევალე.

1989



\* \* \*

ვით ბერდედა,  
 წუთისოფელს,  
 დღეთა თითისტარზე ართავ.  
 აღარ რჩები სიკვდილს გალში,  
 ეს ცხოვრება გიჩანს  
 დართად.\*  
 სადაც გინდა –  
 ჩრდილქვეშ გაშლი.

1986

---

\* ღართი – ნაბადი.



## საჭირო

ყველას ერთ ქვაბში ხარშავს  
საწუთოო,  
დიდს,  
გინდაც მცირე იყოს კერტივით.  
რადგან სიკვდილი არის თავხედი:  
ვინც წაიყვანა,  
დილეგში ჰყავს გამოკეტილი  
და არცერთს აქეთ აღარ ახედებს.

1999



\* \* \*

შესციცინებენ ქართვლის ცას ქედები,  
მწვერვალებს მოსწყინდათ  
ღრუბლების ამბორი  
და ნისლის ფარდები ჩამოხსნეს  
დარაბებს.  
ფშავ-ხევსურეთის მთებია –  
ამფორა,  
პირთამდე საგსე შავ-თეთრი  
არაგვით.

1998



\* \* \*

ମାମିସ ସାଗଲାଗାଣ ସାଫଲାଗମା

ଯୁଦ୍ଧ ମନ୍ତ୍ରମା

ଶ୍ରୀରାମ.

ନୀତି ପାଠାରା ହିତି କି...

କବଳାଙ୍ଗ ଯୁଦ୍ଧାର୍ଥଦୟାଙ୍ଗ ମନ୍ତ୍ରାଳୟ.

1965



## მოხუცი

„წერია წერისოფელი“

გუშინწინ იგი გაზაფხულის  
მტირალ ცას მოჰყვა  
და სიყვარულის დადგა ნაპირზე.  
გუშინ დაღლილმა სტუმარივით  
გაიარა ზაფხულის  
ბაღში  
და გულისყურით მოუსმინა  
ხეების ლოცვას,  
სხივთა ჟივჭივს  
და მზის გაღობას.  
დღეს მეტად უპირს,  
რომ ასე სწრაფად  
ფოთოლცვენის  
ჩამოდგა ჟამი...

1967

## ლეიინგრაფის დამე

შუბლშეჭმუხვნილი,  
როგორც უფალი,  
იმზირებოდა – სამეფო უფლის  
და ძილი ეგდო დამის თათებთან,  
შუაღამისას ცამ გახსნა  
შუბლი –  
გათენდა.

1979



\* \* \*

მაშრიყის მხრიდან და მაღრიბიდან  
ცით და ხმელეთით  
და ზღვისპირიდან:  
საუკუნეთა მღვრიე ჯარი მოდგა და  
მოდგა,  
მაგრამ ვერასგზით  
ვერ აღგავა  
მიწის პირიდან  
ჩემი ამაყი ჯიქთა ჯიში  
და ჩემი მოდგმა.

1976



## გიორგი სინათლე

გამჩენის ლოცვით  
და სიცოცხლის  
ლურჯი გალობით,  
ამ ქვეყანაზე როდესაც ვიშვი,  
მაშინ თვალებში,  
როგორც სინათლე,  
გარდაცვალების  
გარდუგალობის  
შედედდა შიში.

1978



## ენერჟარი

ვძერწე და...

თიხა გაგაუკვდავე,  
ყელზე დავკიდე მზეთა რგოლები  
და ხეს ნათლისას

ჩამოვთალე  
დამის მერქანი,  
ეს მე ვაჭიო  
“სიტყვა სოლებად”,  
მე ვარ მზის შვილი –  
ენმერქარი\*.

1976

---

\* ენმერქანი (შუმ.) – ურუქის მეფე, რომელმაც ერუქი  
ააშენა და იმეფა 420 წელი.



## დღიდან გაჩენის

გაჩენის დღიდან,  
დღიდან გაჩენის,  
ჩემი სიცოცხლის, ჩემი სიკვდილის,  
აღარ იქნა და  
არ წყდება დავა.  
აქეთ – სიცოცხლე...  
იქით – სიკვდილი...  
მე – შეაში ვდგავარ...

1988



\*\*\*

“ჩემს სულს აწვიმს”... და

სულ ერთი წუთით

ვერდენი, –

ზღვათა წუხილის გაღმა,

ჩემსკენ მომავალ დღეთა გემებს

სევდით დატვირთავს...

და აი, ახლა, –

“სულს აწვიმს” და... წარსულის ტალღა

ჩემს სიმარტოვეს ეფერება

დამის ნაპირთან.

1968



## ორი არაგვი

ზვავების მჯიდებს  
უფსკრულები მკერდზე იცემენ...  
კოპალას ქვასთან,  
სიბნელეში, უცებ იალებს  
დევების ეშვი...  
მძიმე ლახტი  
და სატევარი...  
და ქამს თეთრი და შავი არაგვი  
შეუბამს მთების უდელში და როგორც  
ყევარი,  
ლეგენდის ურემს  
ბარისაკენ მიაჭრიალებს...

1967

## შაშვის სიპრდილი

სიცოცხლის ბაღში

მიმწუხამდე მზე იგალობა

და სიმღერებით სავსე სული

როცა დაცალა,

სურომორეულ წიფელაზე ჩამოიძინა,

მაგრამ უკრად ესმა ძილში

თოფის ძახილი,

შეკრთა...

თვალები ერთი წამით

კვლავ გაახილა,

რათა იმწამსვე დაეხუჭა სამარადისოდ.

1968



## შზამთაში

ამოენთება ხსოვნის ზღვიდან  
“ქართლის ცხოვრება”.

ისმის ყიჯინა...

ჩახაჩუხი... წვიმა ისრების.

აჭა, მეც მოველ,

და ნაბიჯით ერთით მისწრებენ:

კოჭლი თემური,

ბუღა თურქი,

შაპი-ნადირი.

და... დგას შუამთა ჩანჩქერივით  
დალალგაშლილი და საქართველოს  
შუბლგაჩებილ წარულს დასტირის.

1968

## სემირამიდა

დრო არწივიგით დასტრიალებს  
მძინარ ბაბილონს.

ევფრატის პირას  
მკვდარ ბადს სტირის სემირამიდა.  
და დუმს როდოსი, დუმს სინოპი  
და დუმს ქიოსი.

ხსოვნა კი დელავს:  
ნუთუ ჟამმა ვერ აარიდა მათ სიკვდილი  
და...

ბნელი თვალი საიქიოსი.

1964



მონაცემები

— შეკრთნენ...

## თვალები სწორედ მაშინ

დაუვიწროვდათ, —

უმზერდნენ შურით... სილამაზე არ

აპატიკ,

## მიკაფ-მოკაფეს საქართველოს ცა

ლ 336

მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს, —

კერძო ჩავტოვს.

1972

\*\*\*

ჩალისფერი დროშა – გორგასლიანი,  
ელვის კრთობა – ხმალი დავითფერული,  
ჟამთა სკივრში ვეძებე და ვერ ვნახე,  
მხოლოდ გვიან მე ფსალმუნში ვიცანი  
მზით გაფოთლილი “შენ ხარ ვენახი”,  
„გალობანი სინანულისანი”.

2007



## ჭავე

ცის საშანდლეთში ანთებს  
ვარსკვლავებს,  
ფერმკრთალი შუქით მოაქვს ფიქრი,  
დარდი,  
წადილი,  
მოაქვს შიში და ვეებერთელა ლანდი  
მამონტის...  
ქამარში ისევ გაურჭვია  
მთვარე წალდივით  
და, ვით მეტყველ  
უღრანიდან დამე გამოდის.

1963



## ჩემი წითელი საპერაცია

დარდს და სიხარულს ქარიშხალივით  
გაჩენის დღიდან

მკერდზე მახლიდა.


ტალღისსიმება ზღვა მღელვარე  
ჩემი ჩანგია.

მზე, რომ გადმოაქვს ქარს  
ღრუბლების

მაღალ დახლიდან, –

ჩემი წითელი საპერანგეა.

1963



## სიჩვენე

გასცემის მთვარე

ვარსკვლავებით გაცოხნილ

სივრცეს,

გაკრთება ელგა სულ ერთი ციდა, —

თითქოს მდინარე ზღვას იქვე ერთვის.

და სიჩუმეში

მოისმის ციდან:

ანგელოზების ფრთის რხევა და

ფეხის ხმა... —

ღმერთის.

1968



\*\*\*

ზღვის ტაძარში, სადამოს თუ დილით,  
ზეიროთთა ლურჯი გალობები ისმის  
და ლოცვად დგას სოხუმი

და გაგრა –

დიაოხთა მწვანე სამანებში.

ზღვა უნდოა,

გულში მიკრავს მაგრად,

ცალი ფეხი მიდგას სამარეში.

1964



\*\*\*

ქართული სიტყვის ათასწლოვან  
ტოტებზე მჯდარი  
შენ გიგალობდი  
“კაფე-თესეს”, თესდი თუ მკიდი  
და ჩემი ფიქრი  
შენი სულის  
წუხილში ენთო.  
დღეს ეს გალობა, მცირე თუ დიდი,  
მიიღე ჩემგან  
მსხვერპლშეწირვად, მამულო –  
ღმერთო.

1985



## საათი

სიმყუდროვეში მოჩანს დამის  
თორმეტი ტოტი  
და მთელი დამე  
ტოტიდან ტოტზე  
დახტის ჩიტი...  
და მშიერი, ოქროს ნისკარტით  
თეთრ ციფერბლატზე დაყრილ წუთებს  
კენკავს  
და კენკავს...

1972



\*\*\*

ავაზასავით კლდეთა ქიმზე  
წვება სიბნელე,  
ცა აღარ აჩენს ლალს და დინარებს,  
მწუხარე სახით იხედება მთვარე –  
სხეული,  
და ზღვასთან ელავს ციცქა მდინარე,  
ვით ტახის ეშვი,  
მუხის ფესვზე გადამტვრეული.

1969



## დაჭო

მაშრიყში –  
ცისკრის მოვანების დარეკა ზარმა,  
და მზე წამოდგა სიჩუმეში,  
ვითარცა მახვში  
და ზე ასწია შავი ლამის დაბალი ჭერი.  
დაუო ჩიტი კი...  
გადვიძებულ სიცოცხლის  
ბაღში  
სიცოცხლის ლამაზ,  
უსასრულო  
სიმდერას მდერის...

1968



## ზღვები

მიწის ვეება ბუდეებში  
კვლავ სხედან ზღვები  
და ნიჟარები კვერცხებივით  
უწყვიათ ფსკერზე და მარგალიტებს  
ჩეკენ...  
და ჩეკენ...  
გრიგალები კი ლომური ხმებით  
მორბიან ჩემპან.

1966



## ჩემი გალობა


რამდენი ჩანგი გადაჲყვება  
 ქარებს გრიალით,  
 რამდენი სვეტი...  
 და რამდენი ყალმის ნახატი –  
 დაედევნება გარდასულ ქამს  
 უცხო ფარფატით...  
 რადგან უფალმა ასე ინება,  
 რადგან გამჩენმა  
 ეს მიწყალობა.  
 “ოქროს საწმისად” პონტოს პირას  
 წაისილება:  
 დაფნაზე უფრო უწყინარი  
 ჩემი გალობა.

1969

## ნიღოსის და ოდერის

უამი ჭირს და ფათერაკს,  
ისე, როგორც ცხვრის ფარას  
მოკვდავთათვის მოდენის...  
შენ ბუზსაც ვერ აგიფრენს,  
რადგან უძვირფასესი  
შენში ჩუმად ბინადრობს  
სული მტკვრის და  
ფაზისის,  
ნიღოსის და  
ოდერის.

1963



## ძრისტეს მხედარს და მჭიბნობარს

ათასი წლის მერო პონტო,  
ფაზისის დიდ ბროლის ყანწით  
გვლავ დალევს შენს შესანდობარს.  
და... კოლხეთიც მოგიგონებს –  
“ქრისტეს მხედარს”  
და მწიგნობარს.

1986



\*\*\*

სიცოცხლეც და სიკვდილიც –  
ტირიან და მდერიან,  
რადან ქვეყნად ორივე,  
ვით ყოფნა და არყოფნა –  
ნათლისდების  
ფერია.

1973



## ხილგა: “ათი ქალწული”

ოცზე მეტი საუკუნე

მიინავლა...

მიიღია...

რაც უნთებენ მზით ჩამოქნილ

თაფლის სანთლებს,

კვლავ მის სიგრძეს.

და... ვჭვრეტ: ათი ქალწულთაგან,

ხუთი ისევ ელის სიძეს.

1969



## მეცამათე ცის თაღი

სულ სხვა ფერით ელვარებს  
მეცამეტე ცის თაღი  
და შენ ერთს იქ –  
გეგულვის,  
სხივთა კრთომა ფარული.  
ზე – სიმაღლე მთებური  
და გონი ზენარული.

1984



## შინაგანი – ელექტრონული

შენი ფიქრი ელგაა  
და კოსმიურ ქროლაში,  
ჟანგს არასდროს მოიდებს,  
მიტომ სტუმრობს –  
ხშირ-ხშირად –  
მზეებსა და მთვარეებს,  
მბრწყინავ ასტეროიდებს.

1978



## ჰერაგის ოქროს თავითავი

მიმწერიდან –

დილამდე,

საქართველოს ცის თაღზე –

ჰყევავის ოქროს თავთავი...

ქვეყნად მზის და სინათლის –

უფალია სათავე.

1967



## ორგების ჩანგი

რწმენის აგურით ნაშენი ტაძარი –  
ორფევსის ჩანგია,  
ლოცვები ოქროს სიმებია –  
უფლის სადიდებლად –  
გაბმული.

1972



## მაჩაბელი

მიაფურთხა და აუქნია  
ხელი ცხოვრებას,  
ცამ როცა მთვარის აფრა აუშვა.  
მერე,  
კით უღრან ტყეში  
ჩინართა,  
ამ წუთისოფლის  
აურზაურში  
გაუჩინარდა.

1981



## 300 აქილევსის გევგა ზარი

ფრთებს რომ გაშლიან ცაში აფრები,  
ზღვას ჟინი უვლის  
ქარში გაფრენის.

დელვის ტაძარში,  
ვით მეგობარს, მაშინ შევუვლი,  
როცა წუხს ნათელს პირმშვენიერი,  
მედეასავით –  
ლამე გრძნეული.

ვით აქილევსის ვეება ფარი,  
კოლხეთის ცაზე ჰკიდია მთვარე.

1968



## სარჩევი

შესავალის მაგიერ.....	8
კოლხეთი .....	25
სოფელში.....	26
ნატურმორტი.....	27
ხილვა: ღვთის ნათელი .....	28
* * * ზღვით ამოვარდნილ	
ქარიშხალს .....	29
მოულოდნელი სიკვდილი.....	30
დიდი სამამულო ომი.....	31
შუამთაში.....	32
ჭადრები რუსთაველზე .....	33
ძე უმრწემესი.....	34
მიწის სული .....	35
კოლხი ქურუმები.....	36
ისევ პარას ჭალა .....	37
ყასიდა.....	38
რებუსი.....	39
დრუბლები .....	40
* * * ლოდინით დაღლილ	
სანაპიროზე .....	41
ბერძნები და რომაელნი .....	42

„ფხოური ქვები“ და	
„შუმერული ფირფიტები“ .....	43
ტყაშმაფა, ოჩოკოჩი.....	44
ფარნავაზი და საურმაგი.....	45
ტურა.....	46
* * * უპირველესი სიყვარული.....	47
სიცოცხლე – ტიტანიკია,	
სიკვდილი – აისბერგი.....	48
ზოგ-ზოგებს .....	49
კოლხი ქურუმი.....	50
მაიას ტომის ისტორია.....	51
* * * მეცხრე ციდან მოსული.....	52
ინდურმთა... ფარსმა .....	53
აპის-ი.....	54
ფშავ-ხევსურეთში.....	55
ანქილები .....	56
მოლოდინი.....	57
ცა არის – ქრისტე .....	58
* * * ჩემი ეზოს ხეთა ჩრდილში.....	59
დედამიწაზე რაც არის გზები.....	60
სურია დუჭიტა .....	61
მიჯაჭვული ამირანი .....	62
სიბრძნის კვნიტი .....	63
აქილევსი .....	64

გრაალი და ვედები .....	65
მოურჩენელი.....	66
შიში.....	67
ზღვა და ხმელეთი.....	68
სიმშვენიერე.....	69
ხილვა: ქუგალე.....	70
კაცი ბაბილონიდან .....	71
სოფელში.....	72
ნახევარ მთვარე .....	73
სიბრძნე პეტრე იბერის .....	74
*** ღამეული დარბაზიდან .....	75
ქასქები .....	76
*** მნათ-მოწაფით ათორმეტით .....	77
*** წესრიგს იცავ კოსმიურს .....	78
*** ვითარც შენ იგავებით.....	79
რეკვიემი .....	80
მებაღე.....	81
*** ალბათ ვერცხლი ერია .....	82
*** წარსულიდან ხმა ისმის.....	83
ქალდეველები .....	84
*** კოლხეთის მკვიდრი .....	85
*** უფლის ხელით ნაწერი .....	86
*** დრო ერთია.....	87
*** ცას თვალებში უდგას სევდა .....	88

ი უ დ ა .....	89
*** გზას მიჰყვებოდი ექლიანს .....	90
*** ციდან ხმა რომ ისმოდა.....	91
*** ვითარც წამი, გავიდა.....	92
*** კავკასიონი გეპურა ფარივით .....	93
*** შენს პატარა გზას თუ ბილიკს.....	94
ისევ ძლევად საკვირველი.....	95
*** ბრძენის სიტყვებს ვიმეორებ:.....	96
*** წინაპართა ხმები ისმის.....	97
*** დღეებსა და ლამეებს.....	98
ისევ – იაპონია – 2011 .....	99
1992.....	100
*** ქართველები სომეხთა .....	101
*** უხსოვარ დროის მითებიდან .....	102
*** ვითარცა მზე სამყაროს .....	103
*** ციდან სტუმრად ჩამოსული.....	104
*** განქარდება ცისქევეშეთში.....	105
*** ვარსკვლავებით დაწინწელული .....	106
პელაზგოსი .....	107
ასხის მოებთან და ურთასთან .....	108
*** ცით მოსული .....	109
ივლისი სოფელში .....	110
*** მიწას ცა უყვარს.....	111
წიგნი – ტაძარი .....	112

ეგეოსის ადამი .....	113
*** დილა,.....	114
სოფელი, საწუთრო .....	115
*** ციხკარივით მზის ხელებით .....	116
ადამ კადმონი .....	117
მეოცე საუკუნე .....	118
*** ოდი1 გზას გინათებდა.....	119
აწყური და ახალშენი.....	120
ეა-ენქი და აია.....	121
როგორც მოსე.....	122
ბაბილონის ისტორია.....	123
ქალდი-ქოროუ და კარდუ .....	124
ციხე-გოჯთან.....	125
ადაპტას, ნინტის და ზიუსედრას.....	126
წიგნები .....	127
ენოსის ველი .....	128
*** იუდის კერძს .....	129
*** შენ კი გინდა ეს სამყარო .....	130
*** შოორეული წარსულიდან.....	131
*** აიეტის კოლხეთიდან.....	132
ცა ჰგავს კეთილ ემერსონს .....	133
ქალდეველები და შუმერები .....	134
*** სადღაც .....	135

*** იმედის ბაღში მზის და	
სინათლის .....	136
ტუტანხამონის აკლდამა .....	137
*** ქაჯავეთს მიხვალ საომრად .....	138
ყოფნა .....	139
გათენება .....	140
გედრება .....	141
ხილვა: ჰერეთი .....	142
მთვარე, ვარსკვლავები .....	143
სიზიფე .....	144
სიმშვიდე .....	145
შენ, ვითარცა ფარციფალს .....	146
უშგულში .....	147
სამი ვარსკვლავი .....	148
ხორგა .....	149
ისევ ხოფელში .....	150
სიკვდილი – სიცოცხლე .....	151
მთვარე სხეული .....	152
ყოფნა, არყოფნა .....	153
სფინქსი .....	154
გრაალის ტაძრები .....	155
პოეზიის რაინდი .....	156
*** მოულოდნელად ხმაზე ქუხილის ..	157
*** ჩანდა – დამის უდრანიდან ..	158

* * *	ხიდან – ჩვენი სიცოცხლის.....	159
***	ლოცვად მოუსხამს ზეცას.....	160
***	მარადიულ ცის ტილოზე.....	161
***	ვით მზე დილას.....	162
***	სადღაც ათასწლეულების .....	163
***	როს მზემ დასავლით .....	164
***	რა გქნა!.....	165
***	სიცოცხლე, სიკვდილი .....	166
***	ხელო ეპყრა .....	166
რაფაელის პარნასი .....		168
ხილვა:	ხეთისშვილები.....	169
***	ჭკუას ვარიგებ.....	170
ლაზარე .....		171
სამება.....		172
***	ითვლი მკერდზე.....	173
***	ვითა სკა ახალნაყარი .....	174
ალ-ქინდი და ალ-ლაზილი.....		175
***	წუხილად ცაში ასული .....	176
იახსარი და ბედელა .....		177
***	ზვირთებზე ამხედრებული .....	178
ისევ კოლხეთის მისტერია .....		179
* * *	იქ დავიდებ საცხოვრისს .....	180
* * *	წარსულ უამთა მზის სარკეში ...	181
არყოფნის გიხდება მოცდა .....		182

* * * იდუმალებით სავსეა ეგვიპტე.....	183
სამება.....	184
* * * მორჩა, სიბრძნის მზე.....	185
ტრანსცენდენტური .....	186
* * * ცას ოომ წვდებოდა წვერით.....	187
ისევ გამოცხადება .....	188
* * * ადამიანიც რწყულდებოდა.....	189
* * * პონტოსა და ფაზისის პირ .....	190
* * * ვითარც ადრე.....	191
* * * გადაიქროლეს ყრმობის ქარებმა .....	192
* * * მოხვედი .....	193
* * * ცაში ანგელოზები.....	194
* * * ახლაც, ავისმდომის ლანდი .....	195
* * * უყვარს ნორჩი სიცოცხლე.....	196
* * * ვით ჩინელს და ინდოელს .....	197
* * * ვარსკვლავებით ადიდებულ .....	198
მთვარის თასი .....	199
* * * რადგან წუთისოფლის ქვაბში ....	200
ვასაკები.....	201
* * * შორს რომ მოჩანს დარჩელია....	202
* * * ზმანებებით კი არადა.....	203
* * * უცებ მოვარდნილი ქარი .....	204
* * * გადაუვლიათ ათასწლეულებს....	205

* * *	შორი სიჩუმით შემობურვილი....	206
კაცი – ლეგენდა .....	207	
ბუნების ენა.....	208	
რეა-კიბელეს ქურუმები.....	209	
* * * ვაჟას მაღალ ქედებიდან .....	210	
* * * ვთქვათ და ოდესმე ჩვენ კოლხ. ....	211	
ეს მთები .....	212	
* * * გაფანტულან წლები ჭავლად ....	213	
* * * ფეხშიშველი ელვა ისევ .....	214	
უ კ მ ა რ ი ს ო ბ ა .....	215	
* * * ვით ბერდედა.....	216	
საწუთო .....	217	
* * * შესციცინებენ ქართვლის ცას....	218	
* * * მამის საგლოვად საფლავმა .....	219	
მოხუცი.....	220	
* * * მაშრიყის მხრიდან .....	222	
ვითარც სინათლე .....	223	
ენმერქარი .....	224	
დღიდან გაჩენის.....	225	
*** “ჩემს სულს აწვიმს” .....	226	
ორი არაგვი .....	227	
შაშვის სიკვდილი.....	228	
შუამთაში.....	229	
სემირამიდა .....	230	

მონღოლები .....	231
*** ჩალისფერი დროშა.....	232
ღამე .....	233
ჩემი წითელი საპერანგეა .....	234
სიჩუმე .....	235
*** ზღვის ტაძარში.....	236
*** ქართული სიტყვის ათასწლოვან... <td>237</td>	237
საათი.....	238
*** ავაზასავით კლდეთა ქიმზე .....	239
ღაულ .....	240
ზღვები.....	241
ჩემი გალობა.....	242
ნილოსის და ოდერის.....	243
ქრისტეს მხედარს და მწიგნობარს .....	244
*** სიცოცხლეც და სიკვდილიც .....	245
ხილვა: “ათი ქალწული” .....	246
მეცამეტე ცის თაღი.....	247
ფიქრი – ელვა.....	248
პყვავის ოქროს თავთავი .....	249
ორფეესის ჩანგი.....	250
მაჩაბელი.....	252
ვით აქილევსის ვეება ფარი.....	254

D. J. Gammie



2020.6.

ვაჟა ებრისელი

## გოლუშრი ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 88

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 88

- |                     |                            |
|---------------------|----------------------------|
| გამომცემლობის       |                            |
| რედაქტორი           | – გუგაზ მეგრელიძე          |
| მხატვარი            | – სპართაკ ციცაძე           |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე          |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმაშვილი           |
| კორექტორი           | – ნათო ბროძელი             |
| კომპიუტერული        |                            |
| უზრუნველყოფა        | – ნანა და დათო ყალაშვილები |
| გამომცემელი         | – ზურაბ დოლგაძე            |

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „კონსალსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com